პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 24 ნოემბერი, 1942 წ. № 278 (6594). ფასი 15 კაპ.

**მტერმა ერთხელ უკვე გამოსცადა წითელი არმიის დარტყმათა ძალა როსტოვთან, მოსკოვთან, ტიხვინთან. შორს არ არის ის დღე, როდესაც მტერი გაიგებს წითელი არმიის ახალ დარტყმათა ძალას. ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული!**

ი. სტალინი

## ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული!

ღრმა სიხარულის გრძნობით შეიტყობს საბჭოთა ხალხი, რომ ჩვენმა ჯარებმა დაიწყეს წარმატებითი შეტევა სტალინგრადის რაიონში. გაარღვიეს რა მტრის თავდაცვის ხაზები, საბჭოთა ჯარებმა სამი დღის დაძაბული ბრძოლების განმავლობაში 60-70 კილომეტრით წაიწიეს წინ. დაკავებულია ქალაქი კალაჩი, რომელიც მდებარეობს სტალინგრადის დასავლეთით, დონის აღმოსავლეთ ნაპირზე, სადგური კრივომუზგინსკაია (სოვეტსკი), სადგური და ქალაქი აბგანეროვო. დონის აღმოსავლეთით განლაგებული მტრის ჯარების მომმარაგებელი ორივე რკინიგზა გადაჭრილი აღმოჩნდა.

გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა სერიოზული დამარცხება განიცადეს.

ჩვენმა ჯარებმა სავსებით გაანადგურეს მტრის ექვსი ქვეითი და ერთი სატანკო დივიზია, დიდი ზარალი მიაყენეს მტრის შვიდ ქვეითს დივიზიას, ორ სატანკო და ორ მოტორიზებულ დივიზიას. ბრძოლის ველზე აღმოჩნდა 14.000-ზე მეტი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი. წამოყვანილია დიდძალი ტყვე—13.000 კაცი; წამოღებულია დიდი დავლა.

თითქმის სამი თვის განმავლობაში სტალინგრადის რაიონში სწარმოებს ისეთი ბრძოლები, როგორიც მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს. უკვდავია სტალინგრადის დამცველთა სახელი. მთელი მსოფლიო სულგანაბული ადევნებდა თვალყურს გიგანტურ ბრძოლას, რომელიც ვოლგის ნაპირებზე გაჩაღდა. სტალინის ქალაქის დაცვაში საბჭოთა მეომრებმა მსოფლიოს უჩვენეს მხედრული მამაცობის, სიმტკიცის, გულადობისა და საბრძოლო უნარიანობის უჭკნობი ნიმუშები.

მტერმა სტალინგრადს მოაყარა ათობით თავისი საუკეთესო დივიზიები, ათასობით ტანკები და თვითმფრინავები. ურყევ კედლად აღიმართნენ საბჭოთა ადამიანები შეჯავშნული ფაშისტი ყაჩაღების გზაზე. მტრის გაცოფებული, გააფთრებული შემოტევა სტალინგრადის დამცველთა გმირობაზე დაიმსხვრა. მათ იცოდნენ, რომ მეტი უკანდახევა არ შეიძლება, რომ საჭიროა მტრის შეჩერება, რომელიც წინ მოისწრაფვოდა. მათ ესმოდათ საყვარელი სამშობლოს ძახილი: იგი მოითხოვდა სულისა და ძალების უსაზღვრო დაძაბვას, უდიდეს თავდადებას, სამმაგ გამბედაობას და მაღალ საბრძოლო უნარიანობას.

იცავდნენ რა დანგრეულ შენობათა ყოველ აგურს, სტალინგრადის მეომრები ამ აგურს იქით ხედავდნენ ასობით და ათასობით კილომეტრ თავისუფალ საბჭოთა მიწა-წყალს, მილიონობით თავისუფალ საბჭოთა ადამიანებს. იბრძოდნენ რა ბომბებით დაზიანებულ სანგრებში, სახლთა ნანგრევებში, მათ ესმოდათ, რომ ბრძოლას ეწევიან ნათელი შენობისათვის, რომელიც აგებულია საბჭოთა ხალხის მიერ 25 წლის განმავლობაში,—საბჭოთა საზოგადოების ამაყი, მძლავრი და მიუვალი შენობისათვის.

ჰიტლერელი ყაჩაღები ვარაუდობდნენ ტანკებით გაესრისათ სტალინგრადი, მაგრამ ორი თვის ბრძოლების განმავლობაში მათ ქალაქის კედლებთან დაჰკარგეს 800-ზე მეტი თავისი ფოლადის მანქანა. გერმანელებს სურდათ ბომბებით გაეკაფათ გზა სტალინგრადისაკენ, მაგრამ ორი თვის განმავლობაში მათ ვოლგისპირა ველებში ათასზე მეტი თავისი თვითმფრინავი დაჰკარგეს. გერმანელებს სურდათ თავისი დივიზიებით ვოლგაში გადაეყარათ სტალინგრადის დამცველნი, მაგრამ ორი თვის განმავლობაში სამუდამოდ ჩააწყეს მიწაში 100 ათასზე მეტი თავისი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყუილად როდი სწერდა თავის დღიურში სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით მოკლული გერმანელი უნტერ-ოფიცერი ერიხ მიულერი: „ჩვენს გზას სტალინგრადისაკენ შეიძლება ვუწოდოთ მკვდრების გზა“.

ბრძოლების ცეცხლში იზრდებოდა და მტკიცდებოდა სტალინგრადის დამცველთა მამაცობა. ბრძოლის კვამლსა და ცეცხლში იწრთობოდა საბჭოთა მებრძოლებისა და მეთაურების ნებისყოფა. მტერთან უსასტიკეს ბრძოლებში იჭედებოდა ჩვენი საპასუხო დარტყმა ფაშისტთა ურდოებზე. სტალინგრადის დამცველები იბრძოდნენ მტკიცე რწმენით, რომ ისინი არა მარტო დაიცავენ სტალინის ქალაქს, არამედ ვოლგიდანაც შორს გარეკავენ ჰიტლერელთა ურდოებს. „ჩვენი სული ისე მხნეა, როგორც არასოდეს არა ყოფილა, ნებისყოფა მტკიცეა, მკლავი არ დაღლილა მტრის ჟლეტით, — სწერდნენ სტალინგრადის დამცველნი თავის წერილში ამხანაგ სტალინს. — ჩვენი გადაწყვეტილებაა თავგანწირულად ვიდგეთ სტალინგრადის კედლებთან!“

და მათ გაუძლეს! ისინი მოესწრნენ შურისგების ბრწყინვალე, სასიხარულო ჟამს, ჩვენი ჯარების წარმატებითს შეტევას სტალინგრადის რაიონში.

მტერმა ერთხელ უკვე იგემა წითელი არმიის დარტყმების ძალა. წითელი არმიის წარმატებითმა მოქმედებამ როსტოვის, ტულის, კალუგის რაიონებში, მოსკოვთან, ტიხვინთან და ლენინგრადთან ცხადჰყო, რომ ჩვენს ჯარებს შეუძლიათ დაარტყან და მაგრადაც დაარტყან გერმანელთა არმიას. მაშინ საბჭოთა მეომრების დარტყმებით გერმანელები იძულებული იყვნენ არა მარტო თავდაცვაზე გადასულიყვნენ, არამედ უკანაც დაეხიათ დაკავებული პოზიციებიდან 400-ზე მეტ კილომეტრზე და დაეყარათ ქვემეხები, მანქანები, სამხედრო მასალები. შარშანდელი ზამთრის საბრძოლო მოქმედებამ ცხადჰყო, რომ „წითელი არმია და მისი საბრძოლო კადრები გაიზარდნენ სერიოზულ ძალად, რომელსაც უნარი შესწევს არა მარტო გაუმკლავდეს გერმანელ ფაშისტთა ჯარების შემოტევას, არამედ კიდეც დაამარცხოს ისინი აშკარა ბრძოლაში და უკან გარეკოს“ (სტალინი).

თავის 7 ნოემბრის ბრძანებაში თავდაცვის სახალხო კომისარი ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ შორს აღარ არის ის დღე, როცა მტერი გაიგებს წითელი არმიის ახალი დარტყმების ძალას. პირველი ახალი დარტყმების ძალას ჰიტლერული არმიები უკვე განიცდიან. სულ რაღაც სამი დღის წინათ გამოქვეყნდა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა კავკავის (ქალაქი ორჯონიკიძე) რაიონში გერმანელ ფაშისტთა ჯარების დამარცხების შესახებ. მტერი ვარაუდობდა სატანკო ნახტომით ხელთ ეგდო ქალაქი, დაეხურა საქართველოს სამხედრო გზა და ერთმანეთისათვის დაეშორებინა ჩვენი ჯარები. მტერი ანგარიშში მოტყუვდა. მას დიდი ზარალი მოუვიდა, ჩრდილოეთ ოსეთის მინდვრებში დასტოვა 5.000-ზე მეტი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი, დიდძალი ტექნიკა.

ჩვენი ჯარების წარმატებითი შეტევა სტალინგრადის რაიონში ისევე, როგორც კავკავის რაიონში ჩატარებული ოპერაციები, ცხადჰყოფენ, რომ წითელი არმია დღითიდღე ვაჟკაცდება, იწრთობა, ამტკიცებს თავის ძლიერებას. იგი მზად არის ღირსეულად შეასრულოს მისთვის დაკისრებული ამოცანები საზიზღარი მტრის—გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისა და მათი პირსისხლიანი თანამონაწილეების განადგურების საქმეში.

საბჭოთა ხალხმა იცის, რომ მტერი ჯერ კიდევ არ არის გატეხილი. ეჭვი არ არის, რომ გერმანელი დამპყრობნი კიდევ მიმართავენ ახალ ავანტიურებს, ისინი კიდევ ეცდებიან განახორციელონ თავიანთი სისხლისმღვრელი ზრახვანი. მტრის საბოლოოდ განადგურებისათვის დაგვჭირდება კიდევ დავძაბოთ არმიისა და ხალხის, ფრონტისა და ზურგის მთელი ძალები.

„ამხანაგო წითელარმიელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანო ქალებო და კაცებო!

თქვენს შეუპოვრობასა და სიმტკიცეზე, მეომრულ უნარსა და მზადყოფნაზე შესრულოთ თქვენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე დამოკიდებულია გერმანელ ფაშისტთა არმიის განადგურება, საბჭოთა მიწა-წყლის გაწმენდა ჰიტლერელ დამპყრობთაგან!

**ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა გავწმინდოთ საბჭოთა მიწა-წყალი ჰიტლერული სიბილწისაგან**“, — აღნიშნავდა თავდაცვის სახალხო კომისარი ამხანაგი სტალინი თავის ნოემბრის ბრძანებაში.

ჩვენი ჯარების დარტყმები სტალინგრადისა და კავკავის რაიონში იმას მოწმობს, რომ ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა გავწმინდოთ საბჭოთა მიწა-წყალი ჰიტლერელ ყაჩაღთაგან. ჩვენი ჯარების შეტევა სტალინგრადის რაიონში გრძელდება. იგი ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს წითელი არმიის ძალას, მის სიმტკიცესა და გამარჯვების მოპოვების უნარს. საბჭოთა ხალხი უდიდესი სიხარულითა და მღელვარებით ადევნებს თვალყურს შეტევითი ოპერაციების განვითარებას სტალინგრადის რაიონში. ყველა საბჭოთა ადამიანის გული, აზრები და გრძნობები იმ მამაც მებრძოლებთან და მეთაურებთან არის, რომლებიც ამჟამად გააფთრებულ ბრძოლას ეწევიან ვოლგისპირა ველებში გერმანელ დამპყრობლებთან და მათს თანამონაწილეებთან.

საბჭოთა ხალხი მგზნებარე სალამს უთვლის თავის მამაც შვილებს. იგი მტკიცედ არის დარწმუნებული იმაში, რომ მამაცი საბჭოთა მეომრები საყვარელი ბელადისა და მხედართმთავრის—დიდი სტალინის წინამძღოლობით გაანადგურებენ ჰიტლერელ ყაჩაღებს, გასწმენდენ საბჭოთა მიწა-წყალს საძულველი მტრისაგან.

ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული!

**„პრავდის“ მოწინავე, 23/XI.**

### უკანასკნელ საათს

## ჩვენი ჯარების წარმატებითი შეტევა ქალაქ სტალინგრადის რაიონში

ამ დღეებში სტალინგრადის მისადგომებზე განლაგებული ჩვენი ჯარები გადავიდნენ შეტევაზე გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ. შეტევა დაიწყო ორი მიმართულებით: სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთიდან და სამხრეთიდან. გაარღვიეს რა მოწინააღმდეგის თავდაცვის ხაზი 30 კილომეტრის სიგრძეზე სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით (სერაფიმოვიჩის რაიონში), ხოლო სტალინგრადის სამხრეთით—20 კილომეტრის სიგრძეზე, ჩვენმა ჯარებმა 3 დღის დაძაბული ბრძოლების განმავლობაში სძლიეს მტრის წინააღმდეგობა და წინ წაიწიეს 60-70 კილომეტრით. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალ. კალაჩი დონის აღმოსავლეთ ნაპირზე, სადგური კრივომუზგინსკაია (სოვეტსკი), სადგური და ქალაქი აბგანეროვო. ამრიგად, დონის აღმოსავლეთით განლაგებული მტრის ჯარების მომმარაგებელი ორივე რკინიგზა გადაჭრილი აღმოჩნდა.

ჩვენი ჯარების შეტევის მსვლელობაში მთლიანად განადგურებულია მტრის ექვსი ქვეითი და ერთი სატანკო დივიზია. დიდი ზარალი მოუვიდა მტრის შვიდს ქვეითს, ორ სატანკო და ორ მოტორიზებულ დივიზიას.

სამი დღის ბრძოლებში წამოყვანილია 13.000 ტყვე და წამოღებულია 360 ქვემეხი.

ხელთ ვიგდეთ აგრეთვე დიდძალი ტყვიამფრქვევები, ნაღმსატყორცნები, შაშხანები, ავტომანქანები, ბევრი საწყობი საომარ მასალიანად, საჭურვლიანად და სურსათიანად. ნადავლის დათვლა სწარმოებს.

მტერმა ბრძოლის ველზე დასტოვა 14.000-ზე მეტი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი.

ბრძოლებში თავი ისახელეს გენერალ-ლეიტენანტ ამხ. რომანენკოს, გენერალ-მაიორ ამხ. ჩისტიაკოვის, გენერალ-მაიორ ამხ. ტოლბუხინის, გენერალ-მაიორ ამხ. ტრუფანოვის, გენერალ-ლეიტენანტ ამხ. ბატოვის ჯარებმა.

ჩვენი ჯარების შეტევა გრძელდება.

**საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.**

## ჩვენი ჯარების შეტევა გრძელდება

23 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას, ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით გაიარეს 10-20 კილომეტრი და დაიკავეს ქალ. ჩერნიშევსკაია, ქალ. პერელაზოვსკი და დაბა პოგოდინსკი. სტალინგრადის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს 15-20 კილომეტრით და დაიკავეს ქალ. ტუნდუტოვო და ქალ. აქსაი.

23 ნოემბრის ბოლოსათვის ტყვეთა რაოდენობა გადიდდა 11.000-ით და ამჟამად ტყვეთა რაოდენობა 24.000-ს შეადგენს.

23 ნოემბრის ბოლოსათვის სულ წამოღებულია დავლა: ქვემეხი—557, ავტომანქანა—2.826, რკინიგზის ვაგონი—1.200, ტყვიამფრქვევი—2.625, ვარგისი თვითმფრინავი—32, ვარგისი ტანკი—35 და დიდძალი ხელის იარაღი და საომარი მასალა, რაც ჯერ დათვლილი არ არის.

მოსპობილია: თვითმფრინავი—70, ტანკი—157, ქვემეხი—186.

23 ნოემბრის განმავლობაში მტერმა ბრძოლის ველზე დასტოვა 12.000 ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი.

**საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.**

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

### 22 ნოემბრის დილის ცნობა

21 ნოემბრის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის რაიონში ნ ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ორი იერიში და მოსპეს 130 ჰიტლერელი, ხელთ იგდეს 3 ტყვიამფრქვევი და 40 შაშხანა. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფმა ღამით მოახდინა გამოხდომა მოწინააღმდეგის განლაგებაში, ააფეთქა 4 ძელმიწური საცეცხლე წერტი და მოსპო 60 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ნაღმმტყორცნელ გვარდიელთა ცეცხლით თავდასხმებით აფეთქებულია მოწინააღმდეგის საომარი მასალების საწყობი და მოსპობილია ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ნ ნაწილმა მოიგერია ჰიტლერელთა კონტრიერიში და მოსპო მტრის 100-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა არტილერისტებმა ჩააქრეს მოწინააღმდეგის 3 საარტილერიო და 3 სანაღმტყორცნო ბატარიის ცეცხლი.

* * *

მოზდოკის რაიონში ერთი ჩვენი ქვეგანაყოფი ღამით შეიჭრა მოწინააღმდეგის განლაგებაში. ხელჩართულ შეტაკებაში მოსპობილია 70 ჰიტლერელი.

* * *

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მოწინააღმდეგემ დიდი ზარალის ფასად მოახერხა დაეკავებინა ერთი მაღლობი. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა კონტრიერიში მიიტანეს გერმანელებზე და შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ აიძულეს ისინი დაეხიათ წინანდელ პოზიციებზე. მაღლობის კალთებზე მტრის 200-მდე გვამი დარჩა. სხვა უბანზე ჩვენი არტილერიის ცეცხლით გაფანტულია და ნაწილობრივ მოსპობილია მოწინააღმდეგის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ორიოლელ პარტიზანთა ჯგუფმა ნოემბრის პირველ ნახევარში მოაწყო მოწინააღმდეგის ორი სარკინიგზო ეშელონის მარცხი. დამტვრეულია 2 ორთქლმავალი, 37 ვაგონი და მოსპობილია 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ღამით პარტიზანების ჯგუფმა შეაღწია გერმანელთა მიერ დაკავებულ სარკინიგზო სადგურში და ცეცხლი წაუკიდა საწვავით დატვირთულ შემადგენლობას. ცეცხლით მოსპობილია 10 ცისტერნა. ორიოლელ პარტიზანთა სხვა რაზმი თავს დაესხა უნგრელთა ბატალიონის შტაბს. საბჭოთა პატრიოტებმა გაანადგურეს შტაბი, დახოცეს 29 უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს 20 შაშხანა და 2 ტყვიამფრქვევი.

* * *

კავკავის რაიონში წარმოებულ ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა გერმანელი ოკუპანტებისაგან გაათავისუფლეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. ერთ სოფელში გერმანელები მხოლოდ რამდენიმე დღეს თარეშობდნენ. ამ ხნის განმავლობაში მათ მთლად გაძარცვეს ყველა კოლმეურნე. ბანდიტებმა სახლებიდან ქუჩაში გაჰყარეს ყველა მცხოვრები, მათ შორის მოხუცები, ქალები და ბავშვები. კოლმეურნე პოხაევს ჰიტლერელებმა დაუნგრიეს სახლი, წაართვეს 2 ძროხა, 1 ღორი, 38 ფუთი კარტოფილი, 2 ფუთი ხმელი ხილი და ყველა ნივთი, ბავშვის თეთრეულიც კი. კოლმეურნე ხოსტოევს მძარცველებმა დაუხოცეს შინაური ფრინველი, დაუმტვრიეს ჭურჭელი და გაიტაცეს ყველა პროდუქტები. ასეთივე ბედი ეწია სოფლის 75-სავე კოლმეურნეს. გერმანელთა ავტომანქანებში და ტანკებში, რომლებიც ხელთ იგდეს ჩვენმა მებრძოლებმა, აღმოჩნდა კოლმეურნეებისათვის წართმეული დიდძალი ნივთი. ნივთების ნაწილი გერმანელ ჯარისკაცებს და ოფიცრებს უკვე შეეკრათ გასაგზავნად. ამანათებზე მისამართებიც კი წაეწერათ, მაგრამ მათი გაგზავნა ვეღარ მოასწრეს.

* * *

ბელგიელმა პატრიოტებმა ლამბიუსარის რაიონში ააფეთქეს და დიდი ხნით გამოიყვანეს მწყობრიდან სამთამადნო ქარხანა. ეს ქარხანა გერმანელთა დაკვეთებზე მუშაობდა. ამ დღეებში რევოლვერის ტყვიით ქუჩაში მოკლულ იქნა ქალაქ ვერვიეს ბურგომისტრი, ჰიტლერელთა დამქაში.

### 22 ნოემბრის საღამოს ცნობა

22 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევას ეწეოდნენ ქალაქ **სტალინგრადის** ჩრდილო-დასავლეთიდან და სამხრეთიდან.

ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალ. **კალაჩი** დონის აღმოსავლეთ ნაპირზე, სადგური **კრივომუზგინსკაია** (სოვეტსკი), სადგური და ქალაქი **აბგანეროვო**.

გასულ კვირაში, 15-დან 21 ნოემბრამდე ჩათვლით, საჰაერო ბრძოლებში, აეროდრომებზე და საზენიტო არტილერიის ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა 60 თვითმფრინავი. ამავე ხნის განმავლობაში ჩვენ 34 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

21 ნოემბერს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს გერმანელთა 10 ტანკი, 40 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩააქრეს ორი საარტილერიო ბატარიის ცეცხლი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ქალაქ სტალინგრადის საქარხნო ნაწილში ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიში. ბრძოლის ველზე დარჩა რამდენიმე ასეული მოკლული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა იერიში მიიტანეს მტერზე, გასტეხეს მისი წინააღმდეგობა და დაიკავეს მაღლობი, რომელიც ქალაქს დასცქერის.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა მტრის თავდაცვა გაარღვიეს და წარმატებით განაგრძობდნენ წინსვლას. ერთ უბანზე საბჭოთა ნაწილებმა დღის განმავლობაში გაანადგურეს გერმანელთა ორ პოლკამდე ქვეითი ჯარი, მოსპეს 18 ტანკი, 12 ქვემეხი, დაანგრიეს მტრის 30-მდე ძელმიწური საცეცხლე წერტი. წამოყვანილია მრავალი ტყვე. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა განდევნეს მტერი ძლიერ გამაგრებული პუნქტიდან. ამ ბრძოლაში გაჟლეტილია მტრის 1.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია 23 ტყვიამფრქვევი, 14 ნაღმსატყორცნი, ხელთ ვიგდეთ ორი საწყობი საომარ მასალიანად, საწყობი საინჟინრო ქონებიანად, საწყობი სურსათიანად და სხვა დავლა.

* * *

სტალინგრადის სამხრეთით ჩვენი ჯარები მტრის წინააღმდეგობას სძლევენ და წარმატებით მიიწევენ წინ. დაკავებულია ათობით დასახლებული პუნქტები. ნ ნაწილის მებრძოლებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის ქვეითი დივიზია და ტყვედ წამოიყვანეს 5.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. მთლიანად დავგვნებდა ტყვედ მეთაურიანად ამ დივიზიის საარტილერიო პოლკი. ერთი დღის ბრძოლის დროს ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 3 ტანკი, 36 ქვემეხი, 22 ნაღმსატყორცნი, 100 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 2 მილიონი შაშხანის ვაზნა და სხვა დავლა.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ნ შენაერთმა მოიგერია მოწინააღმდეგის სამი კონტრიერიში და გაუმჯობესა პოზიციები. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 200-მდე გვამი, 2 დამწვარი და 3 დაზიანებული ტანკი. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს ერთი ქარხანა. საბჭოთა არტილერიამ ჩააქრო მტრის ორი საარტილერიო და ხუთი სანაღმტყორცნო ბატარიის ცეცხლი, გაჰფანტა მტრის სამ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა. ერთი მაღლობის რაიონში მოწინააღმდეგემ ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარით იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. ჰიტლერელთა იერიში მოგერიებულია. მოსპობილია ასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე ლეიტენანტ პრიდუხინის ქვეგანაყოფმა გერმანელებისაგან გასწმინდა რამდენიმე სანგარი და ბლინდაჟი.

ჩვენი თავდაცვის წინა კიდეზე ჩამოგდებულია მტრის 5 თვითმფრინავი.

* * *

სმოლენსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო მტრის ორი სარკინიგზო ეშელონი. დაიმსხვრა 2 ორთქლმავალი, 45 ვაგონი და 4 პლატფორმა. სხვა რაზმის პარტიზანებმა დასწვეს ყაზარმა, რომელშიც მოთავსებული იყვნენ გერმანელი ჯარისკაცები, და ააფეთქეს ხიდი მდინარეზე. ერთ რაიონში გერმანელები გარს შემოერტყნენ სმოლენსკელ პარტიზანთა მცირე ჯგუფს. საბჭოთა პატრიოტებმა ბრძოლა გაუმართეს მტრის რიცხობრივად ჭარბ ძალებს, გაჟლიტეს 92 გერმანელი ჯარისკაცი და გაარღვიეს გარემოცვა.

* * *

ფაშისტთა ტყვეობიდან გამოქცეულ საბჭოთა მოქალაქეების ჯგუფმა გვიამბო, თუ რა მხეცობას სჩადიან ჰიტლერელი არამზადები სმოლენსკის ოლქის ოკუპირებულ რაიონებში. გერმანელმა დამპყრობლებმა პირწმინდად გადასწვეს სოფლები ნიკიტინკა, სინიაკი, პოკროვსკოე და მაკლაკოვო. სოფელ ნოვოსიოლკიში ფაშისტმა მტარვალებმა დასწვეს არა მარტო სახლები და სხვა შენობები, არამედ ყველა მცხოვრებნიც. სოფელ ვორობიევოში, აკატოვოსა და ტვერდიში გერმანელებმა საპყრობილის რეჟიმი დაამყარეს. მათ რამდენიმე სახლში მოათავსეს ყველა კოლმეურნე — ქალი და კაცი, მოხუცნი და ბავშვები — და მცველები მიუყენეს მათ. დღეში ორჯერ — დილას და საღამოს — ხდება გამოძახება სიის მიხედვით. პატიმრებს ბადრაგით მიერეკებიან სამუშაოზე.

* * *

ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობების თანახმად, ჰიტლერმა უნგრეთის მთავრობას მოსთხოვა მნიშვნელოვნად გაადიდოს გერმანიისათვის სურსათის მიწოდება. ბერლინის დაჟინებული მოთხოვნით უახლოეს დღეებში მთელ უნგრეთში შემცირებული იქნება პურის გაცემის ნორმა. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ პურის ულუფა სულზე 200 გრამიდან დღეში 150 გრამამდე შემცირდება. როგორც ცნობილია, ეს ნორმა ყველაზე მცირეა ევროპაში. ამ უკანასკნელ დრომდე ასეთი ნორმა მხოლოდ იტალიელებს ეძლეოდათ. ახლა ჰიტლერელებმა საშიმშილო ულუფაზე დასვეს არა მარტო იტალიელები, არამედ უნგრელებიც.

### 23 ნოემბრის დილის ცნობა

22 ნოემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ქალაქ **სტალინგრადის** რაიონში წარმატებითს შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით.

* * *

ქალაქ სტალინგრადის საქარხნო ნაწილში ნ ნაწილის მებრძოლებმა გასწყვიტეს 140 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე ჰიტლერელებმა ორი კონტრიერიში მოიტანეს და ცდილობდნენ დაებრუნებინათ გუშინ დაკარგული პოზიციები. ჩვენი მებრძოლები გერმანელებს შეხვდნენ მძლავრი ცეცხლით და გასწყვიტეს მტრის ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევითს ბრძოლებს. ნ ნაწილის მებრძოლებმა ღამით გაანადგურეს მტრის ორი მოიერიშე ბატალიონი, ხელთ იგდეს 6 მძიმე ქვემეხი საწევერებიანად, 22 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 78 ტყვიამფრქვევი, 11 ნაღმსატყორცნი, 800 შაშხანა და ბევრი საომარი მასალა. სხვა უბანზე გერმანელებმა სასწრაფოდ მოიშველიეს 2 ბატალიონი ქვეითი ჯარი და 25 ტანკი და ცდილობდნენ შეეჩერებინათ ჩვენი ქვეგანაყოფების წინსვლა. ტანკისტებმა ამხ. იაკუბოვსკის მეთაურობით დაზიანეს მტრის 8 ტანკი და, სძლიეს რა მოწინააღმდეგეს, დაიკავეს მისი გამაგრებული პოზიციები. გერმანელთა ორივე ბატალიონი მეტწილად მოსპობილია. მათი ნაშთები ტყვედ არიან წამოყვანილნი.

* * *

სტალინგრადის სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წინსვლას და მტრის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მოსპობას. მარტო ერთ უბანზე საბჭოთა ნაწილებმა გასწყვიტეს 700 ჰიტლერელი, ხელთ იგდეს სხვადასხვა ყალიბის 40 ქვემეხი, 70 ტყვიამფრქვევი, რამდენიმე სანაღმტყორცნო ბატარია, 400-ზე მეტი ცხენი და სხვა დავლა. წარმოებულ ბრძოლებში აქტიურად მოქმედებდნენ ჩვენი ტანკისტები. უფროს ლეიტენანტ ტრენკინისა და უმცროს ლეიტენანტ ბოროვიკის სატანკო ეკიპაჟები წინ გაიჭრნენ, მოსპეს მტრის 3 ქვემეხი და, შემდეგ, მტრის დევნისას, მუხლუხებით გასრისეს 100-ზე მეტი ჰიტლერელი. რამდენიმე ტანკისტი ზემდეგ შეპელევის მეთაურობით ავტომატებით ხელში გამოხტნენ ტანკებიდან და ტყვედ წამოიყვანეს 100-ზე მეტი რუმინელი ჯარისკაცი.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი არტილერია უშენდა მტრის სიმაგრეებს. დანგრეულია გერმანელთა 7 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, გაფანტულია და ნაწილობრივ მოსპობილია მტრის ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი. მტრის ზურგში მოქმედი მზვერავთა რაზმი თავს დაესხა გერმანელთა ავტოკოლონას. ჩვენმა მზვერავებმა მოსპეს 8 ავტომანქანა საომარ მასალიანად და 40 ჰიტლერელი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე სნაიპერებმა ორი დღის განმავლობაში 400-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გასწყვიტეს. ერთ უბანზე გერმანელთა ორმა ბატალიონმა ქვეითმა ჯარმა 10 ტანკის დახმარებით იერიში მოიტანა ნ ნაწილზე და აიძულა იგი რამდენიმე უკან გადმოეწია. ჩვენმა მებრძოლებმა ძალები გადააჯგუფეს, კონტრიერიშზე გადავიდნენ და გერმანელები პირვანდელ ზღუდეებზე უკუაგდეს. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 400-ზე მეტი გვამი. წამოღებულია 7 ტყვიამფრქვევი, 10 ავტომატი, შაშხანები და საომარი მასალა.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ნ ნაწილის მებრძოლებმა დაიკავეს მტრის გამაგრებული დასახლებული პუნქტი. გაწყვეტილია 400-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია 60 დაზგისა და ხელის ტყვიამფრქვევი, 4 ქვემეხი, 5 ნაღმსატყორცნი და 3 რადიოსადგური.

* * *

ვორონეჟის სამხრეთით იტალიელთა ერთი ასეული ქვეითი ჯარი ცდილობდა სოლივით შემოჭრილიყო ჩვენს თავდაცვაში. მებრძოლებმა ამხ. ზაიცევის მეთაურობით თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაჰფანტეს მოწინააღმდეგე. გაწყვეტილია რამდენიმე ათეული იტალიელი ჯარისკაცი. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

კალინინის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ნ ნაწილის მზვერავთა ჯგუფმა ხელთ იგდო მტრის საშტაბო მანქანა და ტყვედ წამოიყვანა შიგ მყოფი გერმანელი მაიორი, ფელდფებელი, გადამწერი და შოფერი. მანქანის თანმხლებმა დაცვამ წინააღმდეგობა გაგვიწია და გაწყვეტილ იქნა.

* * *

კურსკელმა პარტიზანებმა ნოემბრის 15 დღის განმავლობაში მოაწყეს მტრის 6 სარკინიგზო ეშელონის მარცხი. გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში საბჭოთა პატრიოტებმა გასწყვიტეს 800-მდე ჰიტლერელი, მოსპეს 3 ტანკეტი და 7 ავტომანქანა.

### 23 ნოემბრის საღამოს ცნობა

23 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას ქალ. **სტალინგრადის** ჩრდილო-დასავლეთიდან და სამხრეთიდან წინანდელი მიმართულებებით.

ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალ. **ჩერნიშევსკაია**, ქალ. **პერელაზოვსკი**, დაბა **პოგოდინსკი**, ქალ. **ტუნდუტოვო**, ქალ. **აქსაი**.

* * *

22 ნოემბერს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბნებზე მოსპეს გერმანელთა 12 ტანკი და ჯავშნიანი მანქანა, 40 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩააქრეს ოთხი საარტილერიო ბატარიის ცეცხლი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მტრის სამ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ქალაქ სტალინგრადის საქარხნო ნაწილში ჩვენი ჯარები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ და ნელა მიიწევდნენ წინ. დღის განმავლობაში მოსპობილია 1.000-მდე ჰიტლერელი. დამწვარია გერმანელთა 2 ტანკი, წამოღებულია 16 ტყვიამფრქვევი, ბევრი შაშხანა და საომარი მასალა. ქალაქის სამხრეთ გარეუბანში საბჭოთა ნაწილებმა გასტეხეს გერმანელთა შეუპოვარი წინააღმდეგობა და დაიკავეს მტრის მრავალრიცხოვანი სიმაგრეები და დასაყრდენი პუნქტები. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის ასობით გვამები.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებით წინსვლას. მტერმა, რომელიც ცდილობს შეაჩეროს წითელი არმიის ნაწილების შეტევა, სასწრაფოდ მოიშველია ერთი ქვეითი და ერთი სატანკო დივიზია და ბრძოლაში გამოიყვანა ისინი. გაჩაღდა დიდი ბრძოლა. ჩვენი ტანკისტები ფლანგებიდან შეიჭრნენ მტრის ჯარების განლაგებაში და მოახდინეს მისი თავდაცვის დეზორგანიზაცია. ტანკების კვალდაკვალ საბჭოთა ქვეითი ჯარი იერიშზე გადავიდა და უკუაგდო ჰიტლერელები. ჩვენი ნაწილები მტერს დაედევნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ერთ ამ უბანზე, არასრული ცნობებით, მოსპობილია მტრის 4.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია 18 ტანკი, მათ შორის 3 სრულიად ვარგისი, 29 ქვემეხი, 40 ტყვიამფრქვევი, 3 საწყობი საომარ მასალიანად და სხვა დავლა.

სხვა უბანზე ჩვენი ჯარები ეწევიან ბრძოლებს მტრის გარშემორტყმულ ძალებთან. წინასწარი ცნობებით, ამ ბრძოლებში ტყვედ წამოყვანილია მტრის 2.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, წამოღებულია 13 ტანკი, 10 ქვემეხი, 70.000 ვაზნა. წამოყვანილია 500-ზე მეტი ცხენი. ტყვედ წამოყვანილია მტრის ერთი დივიზიის სარდლობა.

* * *

სტალინგრადის სამხრეთით ჩვენი ჯარები წარმატებით მიიწევდნენ წინ და განდევნეს მტერი მთელი რიგი დასახლებული პუნქტებიდან. მარტო ერთ უბანზე, სადაც შეტევას ეწეოდა ჩვენი ნ შენაერთი, მტერმა ბრძოლის ველზე 3.000-ზე მეტი თავისი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი დასტოვა. ხელთ ვიგდეთ ტყვეები, 1.000-ზე მეტი ავტომანქანა და სხვა სამხედრო ქონება.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ნაწილებმა მოიგერიეს მტრის კონტრიერიში და გასწყვიტეს გერმანელთა ორი ასეული ქვეითი ჯარი. დაზიანებულია გერმანელთა ერთი ტანკი, ჩახშობილია ერთი საარტილერიო და ორი სანაღმტყორცნო ბატარიის ცეცხლი. სხვა უბანზე გაფანტულია მტრის მეავტომატეთა ასეული, რომელიც ჩვენი ჯარების ზურგში შემოღწევას ცდილობდა.

* * *

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა. ერთ-ერთ უბანზე მტერი ცდილობდა დაეპყრო მაღლობი, რომელიც საბჭოთა ჯარებმა წინადღით დაიკავეს. ჩვენმა მებრძოლებმა თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოსპეს ერთ ასეულამდე ჰიტლერელი. სხვა უბანზე ნ ქვეგანაყოფმა იერიში მიიტანა გერმანელებზე და ხელთ იგდო რამდენიმე ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 100-ზე მეტი გვამი.

* * *

კალინინის ფრონტზე ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა ორი დღის განმავლობაში 127 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გასწყვიტეს. ჩვენი მებრძოლების ჯგუფი უფროს ლეიტენანტ ეროხინის მეთაურობით უეცრად დაესხა თავს და გაანადგურა გერმანელთა გარნიზონი სოფელ კ-ში. მოსპობილია 35 ჰიტლერელი, წამოღებულია 6 ტყვიამფრქვევი, შაშხანები და საომარი მასალა. ჩვენი ცალკეული ნაწილების სნაიპერებმა დღის განმავლობაში 166 ჰიტლერელი მოსპეს.

* * *

მინსკის ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა „უძლეველმა“ ლიანდაგიდან გადააგდო მტრის 3 სარკინიგზო ეშელონი, ერთი მათგანი ორმაგწევიანი. დამტვრეულია 4 ორთქლმავალი და 45 ვაგონი. გარდა ამისა, პარტიზანებმა დაანგრიეს 4 კილომეტრი რკინიგზის ლიანდაგი, დასწვეს 5 ხიდი და გასწყვიტეს 128 გერმანელი ფაშისტი დამპყრობი.

## სახელმწიფო დამზადებათა გეგმები შესრულებულია

დიდი ბელადის — ამხანაგ **სტალინის** ისტორიულმა მოხსენებამ და 1942 წლის 7 ნოემბრის ბრძანებამ დიდი შრომითი ენტუზიაზმი გამოიწვია ოჩამჩირის რაიონში. ფართოდ გაშლილი სოცშეჯიბრების საფუძველზე კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვადაზე თვენახევრით ადრე შეასრულეს ყველა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმები. სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 101,8 პროცენტით, რძის პროდუქტებისა — 100,2, კვერცხისა — 104,8, მატყლისა — 100, ბოსტნეულისა — 104, კარტოფილისა — 103,2, თივისა — 104,8 პროცენტით.

ბევრი კოლმეურნეობა და კოლმეურნე 1943 წლის ანგარიშში აბარებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. 1943 წლის ანგარიშში უკვე ჩაბარებულია 1.964 კილოგრამი ხორცი.

საქ. კ. პ. (ბ) ოჩამჩირის რაიკომის მდივანი **კაკალია**

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ტარბა**

## ქრონიკა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ ამხ. **ვ. ტ. ცაგურია** გაათავისუფლა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისრის მოადგილისა და საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრის მოვალეობისაგან, მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშნა ამხ. **ლ. რ. ჩიხლაძე** და დაამტკიცა იგი საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახკომისარიატის კოლეგიის წევრად.

# დიდი სამამულო ომის ფრონტებზე

## საბჭოთა ჯარების წარმატებითი შეტევა სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით

**მოქმედი არმია**, 22 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა მტრის თავდაცვა გაარღვიეს და წინ მიიწევენ. მტერი ამ უბანზე ხანგრძლივი თავდაცვისათვის ემზადებოდა. აქ მან ააგო ძელმიწური საცეცხლე წერტების მთელი სისტემა, რომელიც გარშემორტყმული იყო 3-6 წყება მავთულხლართებით. დაბლობებსა და ხევებში ჰიტლერელებმა განალაგეს საველე ქვემეხთა ბატარიები, ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნები და ნაღმსატყორცნები.

მტრის დივიზიებს, რომლებიც გამაგრებული იყვნენ სხვადასხვაგვარი მოიერიშე ბატალიონებითა და სპეციალური ნაწილებით, ჰიტლერელთა სარდლობის ბრძანებით, უნდა შეეკავებინათ ჩვენი ნაწილების შეტევა.

განთიადზე საბჭოთა არტილერიამ მტრის სიმაგრეებს თავს დაატეხა ცეცხლის ნიაღვარი. ყუმბარების მარჯვე მოხვედრით პირველსავე წუთებში ჩახშობილ და მწყობრიდან გამოყვანილ იქნენ მტრის ბატარიები. ქვემეხთა გუნდების მიერ განადგურებულ მტრის ძელმიწურ საცეცხლე წერტებსა და სხვა თავდაცვითს ნაგებობებზე წავიდნენ საბჭოთა ტანკები. მათ მიჰყვებოდნენ ქვეითების წყებები. ჯავშნიანი მანქანები გზადაგზა ასწორებდნენ მტრის გადარჩენილ საცეცხლე წერტებს, მუხლუხებით სრესდნენ მოწინააღმდეგის ნაღმსატყორცნებს, ტანკსაწინააღმდეგო თოფებსა და ტყვიამფრქვევებს.

სწრაფად შეიჭრა მტრის განლაგებაში ჩვენი ქვეითი ჯარი. მებრძოლები და მეთაურები ხიშტებითა და გრანატებით ერეკებოდნენ სანგრებიდან ფაშისტთა ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, რომლებიც წინააღმდეგობის გაწევას ლამობდნენ. ფაშისტებმა დარტყმას ვერ გაუძლეს და უკან დახევა იწყეს. მებრძოლები კვალდაკვალ სდევნიდნენ მტერს, დაიკავეს დასახლებული პუნქტი და შეუჩერებლად იწყეს წინსვლა იმ მაღლობთა ჯგუფისაკენ, რომლებიც მიდამოს ჰფლობენ.

ამ მაღლობებზე, როგორც ტყვეები გვიჩვენებენ, მტერი საჩქაროდ აგებდა ახალ სიმაგრეებს და ცდილობდა შეჩერებულიყო ხელსაყრელ ზღუდეზე. მტრის ცდები ჩაიშალა. წითელი არმიის ნაწილებმა ბრძოლით გაიარეს ჰიტლერელთა დაუმთავრებელი სიმაგრეები და დაიპყრეს მაღლობები.

მტერმა მოიშველია ტანკები, არტილერია, სხვა უბნებიდან მოხსნა ქვეითი ჯარი და ერთხელ კიდევ შეეცადა შეეჩერებინა საბჭოთა ნაწილების შეტევა. მაგრამ ამან მას ზარალის მეტი არაფერი მოუტანა. მარტო ერთ უბანზე ბრძოლების მსვლელობაში საბჭოთა ნაწილებმა მოსპეს მტრის ათასობით ჯარისკაცები და ოფიცრები, რამდენიმე სანაღმსატყორცნო და საარტილერიო ბატარია, 100-ზე მეტი დაზგისა და ხელის ტყვიამფრქვევი, დაანგრიეს მტრის ათობით ძელმიწური საცეცხლე წერტები და ბლინდაჟი, ხელთ იგდეს რამდენიმე საწყობი საომარ მასალებიანად, საჭურვლიანად და სურსათიანად.

წითელი არმიის ნაწილებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და ტყვედ წამოიყვანეს მრავალი ჯარისკაცი და ოფიცერი.

საბჭოთა ჯარები მძლავრად ურტყამენ ჰიტლერელებს და წარმატებით განაგრძობენ შეტევას.

ზ. მაქსიმოვი

## სტალინგრადის სამხრეთით

**მოქმედი არმია**, 23 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სტალინგრადის სამხრეთით საბჭოთა ნაწილები წარმატებით განაგრძობენ წინსვლას. ბრძოლების მსვლელობაში მარტო ერთ უბანზე მებრძოლებმა 700 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს და ხელთ იგდეს მნიშვნელოვანი ალაფი.

იზრდება შემტევ წითელარმიელთა და მეთაურთა საბრძოლო აღფრთოვანება. ერთი ჩვენი ქვეგანაყოფის წინააღმდეგ გერმანელებმა ქვეითი ჯარის დიდი ჯგუფი და 13 ტანკი გამოიყვანეს კონტრიერიშზე. მებრძოლებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის კონტრიერიში, ამასთან მრავალი ჰიტლერელი გაჟლიტეს. სამი ტანკსაწინააღმდეგო თოფის გუნდებმა დააზიანეს ფაშისტთა ოთხი ტანკი და დასწვეს ერთი. წითელარმიელმა პანფილოვმა ბრძოლის დროს იკისრა ტანკსაწინააღმდეგო თოფების ოცეულის მეთაურობა და დიდი ზარალი მიაყენა ფაშისტებს.

ფაშისტთა ავიაცია ცდილობს დაეხმაროს თავის სახმელეთო ნაწილებს. ოთხი „იუნკერს-87“ თავს დაესხა ჩვენი ქვეგანაყოფების საბრძოლო წყობილებებს. ბომბებს უწესრიგოდ ჰყრიდნენ, რაც არავითარ ზიანს არ იწვევდა. კაპიტანმა ბოროვიკმა უბრძანა მებრძოლთა ქვეგანაყოფს შაშხანის, ტყვიამფრქვევისა და ტანკსაწინააღმდეგო თოფის ზალპი დაეშინა თვითმფრინავებისათვის. მტრის ბომბდამშენებმა ერთი თვითმფრინავი დაჰკარგეს და თავის ბაზაში წავიდნენ. გაჩაღებულ ბრძოლებში განსაკუთრებით გამოირჩევიან ჩვენი ტანკისტები. ორმა სატანკო ეკიპაჟმა, რომელნიც მტრის ჯარისკაცებს მისდევდნენ, მრავალი ჰიტლერელი გაჟლიტეს ტყვიამფრქვევ-ზარბაზნის ცეცხლით და მუხლუხებით. ტანკისტების ჯგუფი ზიმდეგ შეპელევის მეთაურობით ავტომატებით ხელში გამოვარდა ტანკებიდან და მტრის 100-ზე მეტი ჯარისკაცი ჩაიგდო ტყვედ.

ნ. შილინი

## შეტევითი ბრძოლები სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით

**მოქმედი არმია**, 23 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით საბჭოთა მებრძოლები შეტევითს ბრძოლებს განაგრძობდნენ. ნ ნაწილმა ღამით გაანადგურა მოწინააღმდეგის ორი მოიერიშე ბატალიონი და ხელთ იგდო ალაფი.

ქვეგანაყოფი, რომელსაც სტეფანოვი მეთაურობს, სწრაფი კვეთებით სოლივით შეიჭრა მტრის განლაგებაში და გარეკა იგი დაკავებული პოზიციებიდან. ფაშისტები უკან იხევდნენ უწესრიგოდ და უკან დახევის გზა მოკლულებითა და დაჭრილებით მოჰფინეს. ასევე სწრაფად მოქმედებდა ჩვენი მეორე ქვეგანაყოფი, რომელმაც დღის განმავლობაში მრავალი ფაშისტი გაჟლიტა. ამ ქვეგანაყოფის მებრძოლებმა ხელთ იგდეს ტყვეები, ორი ქვემეხი და დიდძალი სხვა სამხედრო ქონება.

არტილერიის ცეცხლის საფარველქვეშ ჩვენი ქვეითები დაიძრნენ მოწინააღმდეგის პოზიციებზე იერიშის მისატანად. წითელარმიელმა ვიბორნოვმა, რომელიც პირველი შეიჭრა მტრის ძელმიწურ საცეცხლე წერტში, ხელთ იგდო ტყვიამფრქვევი და დაუშინა იგი ფაშისტებს. ინიციატივიანმა მებრძოლმა მტრის ერთ ოცეულამდე ქვეითი ჯარი მოსპო.

ზ. მაქსიმოვი

## უფრო მტკიცე ხდება დარტყმა გერმანელ ფაშისტთა ჯარებზე

**მოქმედი არმია**, 23 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით საბჭოთა ჯარები წინსვლას განაგრძობდნენ. საბჭოთა მეთაურები მარჯვედ აწყობენ სხვადასხვა გვარეობის ჯარების თანამოქმედებას. დაწყებული ოპერაცია გეგმის მიხედვით ტარდება.

საბჭოთა მებრძოლნი სდევნიან უკანდახეულ ჰიტლერელებს. გერმანელთა სარდლობა სასწრაფოდ უყრის თავს რეზერვებს და ბრძოლაში გამოჰყავს ისინი. მაგრამ მტერი ვერ ახერხებს ჩვენი ნაწილების შეჩერებას. გასული დღე დამახასიათებელია სატანკო ბრძოლებით. მტერმა ტანკები გამოიყვანა კონტრიერიშზე. მტრის 30 მანქანა ბრძოლის ველზე შეხვდა იმ ნაწილის სატანკო ეკიპაჟებს, რომელსაც იაკუბოვსკი მეთაურობს. გერმანელთა მანქანები სასწრაფოდ უკუიქცნენ, ამასთან ბრძოლის ადგილას დასტოვეს ცეცხლმოკიდებული 8 ტანკი. მტერმა მაშველი ძალები მიიღო, თავისი ძალები გადააჯგუფა და კვლავ კონტრიერიშზე გადმოვიდა, მაგრამ ამ კონტრიერიშსაც იგივე ბედი ეწია.

მტრის ნაწილები სამხრეთისაკენ იხევენ. ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს უამრავი ალაფი. ერთ-ერთ უბანზე წითელარმიელებმა სამხედრო ქონების უდიდესი აღალი წაართვეს მოწინააღმდეგეს.

მტერს დიდი ზარალი მოსდის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ზ. მაქსიმოვი

## მტრის იერიში მოგერიებულია

**მოქმედი არმია**, 20 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). არტილერისტმა მზვერავებმა გერმანელთა სამზარეულოს მიაგნეს და ბატარიას შეატყობინეს მისი ზუსტი კოორდინატები. არტილერისტებმა დაიცადეს, სანამ ვახშამს დაარიგებდნენ და რამდენიმე ზალპი დაუშინეს სამზარეულოს. ყუმბარები მიზანს მოხვდა და 50-მდე გერმანელი ჯარისკაცი მოსპო. ამის შემდეგ არტილერისტებმა ცეცხლი ფაშისტთა ძელმიწურ საცეცხლე წერტებზე გადაიტანეს. მეთვალთვალეებმა აღნიშნეს, რომ ყუმბარები და მსხვილი ყალიბის ნაღმები პირდაპირ მოხვდა ორ ძელმიწურ საცეცხლე წერტს. ნამსხვრევებს ქვეშ დაიმარხა 40-ზე მეტი ჰიტლერელი.

ფაშისტთა ოფიცრებმა გადასწყვიტეს სამაგიეროს გადახდის მიზნით იერიში მოეტანათ ჩვენს პოზიციებზე. მტრის არტილერიამ სროლა აუტეხა საბჭოთა სანგრებს. ერთ ასეულამდე ჰიტლერელი ცეცხლითი ტალღის საფარქვეშ დაიძრა ჩვენი მავთულხლართებისაკენ.

წითელარმიელებმა საშუალება მისცეს გერმანელთა ქვეითს ჯარს უფრო ახლო მოსულიყო. როცა ფაშისტები 150-200 მეტრზე აღმოჩნდნენ ჩვენს წინა კიდესთან, მებრძოლებმა ყველა სახის სასროლი იარაღის ცეცხლი დაუშინეს მათ. ტყვიამფრქვევები, რომლებთანაც იწვნენ მემიზნეები პოლეშჩუკი, პოკიტკო და უმცროსი სერჟანტი იაკუნინი, საფლანგო ცეცხლით ცელავდნენ გერმანელთა მიზნებს. ტყვიამფრქვევის ცეცხლს თან ახლდა მსროლელთა ძლიერი ზალპები.

ცეცხლითი ფარდა იმდენად მკვრივი იყო, რომ გერმანელებმა ერთი ნაბიჯიც ვეღარ წამოდგეს წინ. ფაშისტთა იერიში შედრკა. გადარჩენილი ჰიტლერელები იძულებული გახდნენ გაწოლილიყვნენ. მაშინ გერმანელთა ასეულის ნაშთებს ცეცხლი დაუშინა საბჭოთა არტილერიამ. ამ ცეცხლის თავდასხმას მხოლოდ მტრის ცალკეული ჯარისკაცები გადაურჩნენ.

ფაშისტებმა ამ იერიშის დროს 150 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს.

ე. კაპლანსკი

## ქარბუქში

კავკასიონის მთებზე ქარბუქმა გადაიარა. ისეთი ძალით მიაქანებდა უღელტეხილებსა და ხეობებზე თოვლის კორიანტელს, თითქოს მიზნად დაისახა უფსკრულში გადაეჩეხა, გაეყინა და ნამქერებში ჩაემარხა ყველაფერი, რაც კი ომის ადამიანებმა გაბედეს ამ მრისხანე ჟამს მიუვალ მწვერვალებზე აეტანათ, და თვით ადამიანებიც.

ქარბუქი ოთხ დღე-ღამეს გრძელდებოდა. თოვლმა დაჰფარა ბლინდაჟები და მიწურები. მთის ბილიკებისაგან კვალიც აღარ დარჩენილა. სამავთულო კავშირგაბმულობა გაწყვეტილ იქნა და თოვლით დაიფარა.

ამ დღეებში ჩვენი ჯარების მოწინავე რაზმები, რომლებიც ერთ-ერთი უღელტეხილის მისადგომებს იცავდნენ, თავის ბაზას მოწყვეტილი აღმოჩნდნენ. ადამიანებს შიმშილისაგან, ყინვისაგან, ზვავებისაგან დაღუპვა ემუქრებოდა. და მაშინ მათ საბჭოთა ალპინისტები მიეშველნენ.

დაბლობიდან უღელტეხილისაკენ გავიდა 80 კაცისაგან შემდგარი რაზმი. იგი მოაწყო ნაწილის მეთაურის მოადგილემ უფროსმა ბატალიონის კომისარმა გოლანდიამ. რაზმში შედიოდნენ მეავტომატეები და ექიმები, მეკავშირეები და პოლიტმუშაკები, მესანგრეები და გამყოლები ადგილობრივ მცხოვრებთაგან. თითოეულ მათგანს მიჰქონდა 15-16 კილოგრამი ძვირფასი ტვირთი, რომელიც შეიცავდა იმათ ხსნას, ვინც ახლა მთებში გაჭირვებას განიცდიდა, — სურსათს, თბილ ტანსაცმელს, სპირტს, მედიკამენტებს.

პირველ დღეს ალპინისტები მიდიოდნენ ტყეების ზონაში, ფეხი უსხლტებოდათ განუწყვეტელი წვიმისაგან დამბალ მიწაზე. ღამე ტყეში გაატარეს, კოცონთან თბებოდნენ. განთიადისას ქარიშხალი გაძლიერდა. წვიმა თოვლად იქცა. ისეთი ქარბუქი იდგა, რომ ხუთ ნაბიჯზე რამეს გარჩევა შეუძლებელი იყო. აღმართები უფრო და უფრო ციცაბო ხდებოდა, თოვლი კი უფრო ღრმა. ადამიანები გრძელ მწკრივად გაჭიმულიყვნენ და ფრთხილად მიაბიჯებდნენ, ყოველ ნაბიჯს ალპენშტოკებით სინჯავდნენ.

რაზმი მიჰყავდათ გამოცდილ გამყოლებს ადგილობრივ მცხოვრებთაგან, დათვზე და ჯიხვზე მონადირეებს — „ორ ივანეს“, — როგორც მათ ნაწილის მებრძოლნი ეძახოდნენ, — ივანე თედორეს-ძე კუნიცინს და ივანე პეტრეს-ძე სალიმოვს. ორივეს დამსახურებულად განთქმული ჰქონდა სახელი ნაწილში. რამდენჯერ გაუწევიათ მათ სამსახური იქ, სადაც საჭირო იყო მათი გამოცდილება, მთებში ნადირის ბილიკების ცოდნა. ამას წინათ სალიმოვმა ჩვენი მზვერავები წაიყვანა მტრის ზურგში და მოჰკლა გერმანელი ოფიცერი — მაკორექტირებელი.

თოვლში რაზმი ორ ჯგუფად იყო განაწილებული. პირველი ჯგუფი — 20 კაცი — ბილიკს მიაკვლევდა და ასუფთავებდა. ამ ჯგუფთან მიმავალი მეკავშირენი აკეთებდნენ გაწყვეტილ მავთულს, რომელიც ზოგან უფსკრულზე იყო გადაკიდებული, ზოგან კი ნამქერში იყო ჩამარხული. ამ ჯგუფის მებრძოლები კარგად იცნობდნენ მთებს. თვითონ კავკასიაში დაიბადნენ და გაიზარდნენ. ბალათურია, ქიტაძე, ტიტუნაშვილი... თანდათანობით უახლოვდებოდნენ ისინი თავისი მგზავრობის მიზანს. ხანმოკლე შესვენებების დროს მებრძოლთა ყურადღებას იზიდავდა ალპინიზმის ინსტრუქტორი, კომკავშირელი გიორგი გლადიშევი, რომელიც თავის დროზე პამირის უმაღლეს მწვერვალებზე ასულა. ამ პასუხსაგები ექსპედიციის წარმატება მნიშვნელოვანწილად აიხსნება მისი მომთხოვნელობით და მებრძოლების მიერ ლაშქრობის რეჟიმის დაცვით. მედიცინის დებს ზინა ნაუმენკოს და მარუსია რიბაჩუკს, ახალგაზრდა ქალიშვილებს, რომლებიც მებრძოლებთან ერთად იტანდნენ ქარბუქში უღელტეხილზე ასვლის ყველა სიძნელეს, თავისი სანიტარული ჩანთების გახსნა არც დასჭირებიათ — რაზმში არავინ ყოფილა დამზრალი, დაჭრილი ან თუნდაც ჩამორჩენილი — მგზავრობის მიზანი აღაფრთოვანებდა რაზმის მონაწილეებს, გზის სიძნელენი ანათესავებდნენ მათ იმათთან, ვის დასახმარებლადაც მიდიოდნენ. და მთის მწვერვალებზე ამ ასვლას თან ახლდა სხვა ამაღლებაც — ლაშქრობის დროს ცხრა მონაწილემ შეიტანა განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. მათ შორის იყვნენ ჩვენთვის უკვე ცნობილი გლადიშევი, ბალათურია, ტიტუნაშვილი და ქიტაძე.

მეორე საღამოს რაზმმა რაიმე განსაკუთრებული ფათერაკის განუცდელად მიაღწია მაიორ ეროხინის საკომანდო პუნქტს მუდმივი მყინვარების საზღვართან. ქარბუქი ჩადგა. ჩამავალი მზის სხივებით გაბრწყინებული მყინვარები ცისფერი ალით ელვარებდნენ. მთების მწვერვალები საბჭოთა ალპინისტების წინაშე დაჩოქილებივით იდგნენ თავისი ბრჭყვიალა ალმასის ქუდებით. საკომანდო პუნქტზე, სადაც ალპინისტებმა მიაღწიეს, მებრძოლები უკანასკნელი ორცხობილებით ვახშმობდნენ. ალპინისტებმა გულდასმით დაალაგეს ყველაფერი, რაც მოიტანეს და ამას საჭმლის თავისი პირადი მარაგიც დაუმატეს. მაიორმა ჰკითხა მათ:

— თქვენ რაღას შერებით? გზაში რა უნდა ჭამოთ?

— ჩვენ ღამით უნდა ვიაროთ, — მიუგეს მათ, — ღამით კი... აბა რა დროს ჭამაა ღამით!

და მათ ჩაი დალიეს მიწურებში, სადაც ისინი ყველაზე ძვირფას და სასურველ სტუმრებად მიიღეს, დაისვენეს მაყალებთან და ღამით უკანვე გამოემართნენ მათ მიერ გაკვლეული ბილიკით.

პ. ბელიავსკი

კავკასიონის მთები.
ნოემბერი.

## უფროს სერჟანტ ო. ცერაძის ვაჟკაცობა

— არის, ამხანაგო მეთაურო, გამლევთ პირობას, რომ თქვენი ბრძანება შესრულებული იქნება! — მიმართა ათმეთაურმა უფროსმა სერჟანტმა ოთარ ქრისტეფორეს-ძე ცერაძემ თავისი ოცეულის მეთაურს ამხ. ტუტნიკოვს.

გასცილდა თუ არა ოცეულის მეთაურს, ამხ. ცერაძემ სასწრაფოდ შეკრიბა შოფრები, აუხსნა მდგომარეობა და უთხრა: — ბიჭებო, ჩვენ მოგვიხდება ახლა მტრის რკალიდან გავიტანოთ მანქანები მთელი ტყვიაწამლითურთ.

შოფრებმა მომართეს მანქანები. ამხ. ცერაძემ თითოეულ შოფერს უჩვენა მტრის რკალიდან გასვლის გზა, თან გააფრთხილა, რომ მანქანა არავის მიეტოვებინა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

მანქანები დაიძრნენ. ფაშისტთა ტანკებმა მანქანებს გზა გადაუღობეს და აუტეხეს შეუჩერებელი სროლა. მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბული შეიქნა. პირველი ორი მანქანა ფაშისტთა ტანკების ცეცხლქვეშ მოჰყვა, ხოლო მესამე მანქანა, რომელზეც ო. ცერაძე იჯდა, შოფერის მამაცური და მოხერხებული მოქმედებით ფაშისტთა ცეცხლის რკალიდან უვნებლად გამოვიდა.

მტრის ზურგში დარჩა ტყვიაწამლით დატვირთული ერთი მანქანა, რადგან ფაშისტმა მეავტომატეებმა ამ მანქანის შოფერი მძიმედ დასჭრეს.

უშიშარი მეთაური ამხ. ცერაძე ხელახლა შევიდა ფაშისტთა ზურგში, მან ხოხვით გაიარა ხუთას მეტრზე მეტი მანძილი, მონახა თავისი ქვეგანაყოფის მანქანა, რომელიც მოუმართავად იდგა, სასწრაფოდ მომართა იგი, ჩახტა მანქანაში და გამოეშურა თავისი ქვეგანაყოფისაკენ.

მიუხედავად მეავტომატეთა ძლიერი სროლისა, ამხ. ცერაძემ ჩქარი სვლით გაარღვია მტრის რკალი და ტყვიაწამლით დატვირთული მანქანით უვნებლად დაბრუნდა თავის ქვეგანაყოფში.

პოლიტხელი ი. კეზერაშვილი
(№ წითელარმიული გაზეთი).

## მარჯვე ცეცხლი

**კარელიის ფრონტი**, 21 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ამ უკანასკნელ დღეებში მკვეთრად იმატა სნაიპერთა საბრძოლო აქტივობამ. მარტო ერთი კვირის განმავლობაში ნ შენაერთის მებრძოლებმა 3.016 გერმანელი და ფინელი გაჟლიტეს სნაიპერული ცეცხლით.



**მოქმედი არმია.** (ჩრდილოეთ კავკასია). კავკასიის მოსახლეობა ეხმარება წითელი არმიის ნაწილებს მშობლიური მიწა-წყლის დაცვაში. **სურათზე:** კოლმეურნე მაგალი გუდანტოვი მზვერავებს ელისეევსა და კავთელაძეს უჩვენებს მთის ბილიკს.
ფოტო მ. ალპერტისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## ჰარიმანის გამოსვლა ნიუ-იორკში

**ნიუ-იორკი**, 21 ნოემბერი (საკდესი). ჰარიმანმა 19 ნოემბერს სიტყვა წარმოსთქვა ნიუ-იორკში და, კერძოდ, განაცხადა: „აგვისტოში ჩერჩილი გაემართა მოსკოვს, რათა ინფორმაცია გაეკეთებინა სტალინისათვის იმ გეგმების შესახებ, რომლებიც მან პრეზიდენტ რუზველტთან ერთად განიხილა. მე მონაწილეობას ვიღებდი ამ მოლაპარაკებაში და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ იგი წრფელი და გულახდილი იყო. ადვილი გასაგებია, რომ სტალინი იმედგაცრუებული იყო იმით, რომ შეუძლებელი იყო დაუყოვნებლივ დაგვეწყო შეტევა იმისათვის, რათა წითელი არმიისათვის მოგვეშორებინა ერთგვარი ნაწილი გერმანელთა ჯარებისა, რომლებიც უშუალოდ უტევდნენ სტალინგრადსა და ვოლგას. სტალინმა განაცხადა, რომ იგი მოელოდა, რომ ჩვენ შეგვეძლო უფრო ადრე დაგვეწყო შეტევა იმისათვის, რათა გვეიძულებინა ჰიტლერი აღმოსავლეთის ფრონტიდან წამოეყვანა ეს ჯარები, რომლებსაც შეეძლოთ გადაეწყვიტათ ომის შედეგი. მიუხედავად ამისა, სტალინმა ნათლად განაცხადა, რომ რუსები განაგრძობენ ბრძოლას სათანადო მამაცობითა და გადაწყვეტილებით. სტალინს აქვს დიდი მებრძოლი ბელადის ყველა თვისება. იგი დარწმუნებულია წითელ არმიასა და რუს ხალხში, და ისინი, უთუოდ, ენდობიან მას. სტალინმა იცის, რომ შეიძლება ჰიტლერის მოსპობა, და რომ წითელი არმია წამყვან და სახელოვან როლს ასრულებს ამ მიზნის მიღწევაში. მაგრამ სტალინი იმ აზრისაა, რომ ომი ჰიტლერის წინააღმდეგ მოითხოვს საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და შეერთებული შტატების გაერთიანებულ ღონისძიებებს. მას სურს, რომ მის ჯარებს ჰქონდეთ საუკეთესო საჭურველი და მომარაგება, ბრძოლის საუკეთესო საშუალებანი და არა მარტო რუსეთის საწარმოებიდან, არამედ ჩვენი ორი დიდი ინდუსტრიული ერის საწარმოებიდანაც. სტალინი დახმარებას არა გვთხოვს. იგი ფიქრობს, რომ წითელი არმიის საგმირო საქმენი და იმ გერმანელთა რაოდენობა, რომლებიც მან მოსპო, უფლებას აძლევენ რუსებს იმედი იქონიონ ჩვენი დახმარებისა. ამერიკელ და ინგლისელ ხალხებს შეგნებული აქვთ, რომ ჩვენ ვერასოდეს ვერ შევძლებთ საკმაოდ გამოვხატოთ რუსებისადმი ჩვენი აღტაცება მათი ბრძოლის გამო ჩვენი საერთო საქმისათვის. არავინ ისე ღრმად არა გრძნობს ამას, როგორც მე. ჩემთვის ცნობილია აგრეთვე ჩვენი რესურსების შესაძლო საზღვრები და ჩვენი სიძნელენი ტრანსპორტის მხრივ. მე ვლაპარაკობ, რაკი ვიცი, რაც უკვე გაკეთდა, რა ღონისძიებებია ნახმარი რუზველტისა და ჩერჩილის მიერ და რა მსხვერპლია გაღებული ჩვენი საკუთარი შეიარაღებული ძალების აღჭურვისა და [illegible] სიმამაცე ჩვენი მეზღვაურებისა, რომელთაც ამერიკის მასალები მიაქვთ სხვა ქვეყნებში. ინგლისის მარაგიდან წაღებული სურსათი რუს ხალხს ეგზავნება. როდესაც ჩვენ გვექნება სათანადო შესაძლებლობანი ნაოსნობის მხრივ, ყოველი ღონისძიება იქნება ნახმარი იმისათვის, რომ რუსეთს გავუგზავნოთ ყოველივე, რაც მას ესაჭიროება. რუსეთში მასალების ტრანსპორტირების სიძნელეები დიდია. იმ ქარავნებს, რომლებიც ჩრდილოეთ რუსეთის ნაპირებისაკენ მიემართებიან, ნამდვილი საზღვაო ბრძოლების გადახდა უხდებათ. მაგრამ ვერავითარი სიძნელე ვერასოდეს ვერ აიძულებს ამერიკის, ინგლისისა და ნორვეგიის სავაჭრო გემებს უარი სთქვან საშიშ რეისებზე. ბევრმა მამაცმა ადამიანმა ჰპოვა თავისი სამარე არქტიკის ყინულებში. ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავადიდოთ ჩვენი მიწოდება რუსეთისადმი. ბევრი რამ გზაშია, და ჩვენ მასალებს გავგზავნით სულ უფრო და უფრო მზარდი რაოდენობით.

მე დიდი რწმენით შემიძლია ვთქვა, რომ, როცა რუსეთის ფრონტზე გავარდება უკანასკნელი ქვემეხი და მოპოვებული იქნება გამარჯვება, რომლისთვისაც ჩვენ რუსებთან ერთად ვიბრძოდით რუსეთის მიწა-წყლიდან უკანასკნელი გერმანელის განდევნამდე, რუს ხალხს თავის გულში ექნება ჩამარხული იმის შეგნება, რომ ჩვენ იგი არ მივატოვეთ.

სტალინის ღრმა რწმენით, ომის შემდეგ გონივრულად რეკონსტრუირებულ მსოფლიოში საბჭოთა კავშირსა, შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობა კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს. თავის უკანასკნელ სიტყვაში სტალინმა განაცხადა: „ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციის მოქმედების პროგრამა: რასიული განკერძოებულობის მოსპობა; ერების თანასწორუფლებიანობა და მათი ტერიტორიების ხელუხლებლობა; დამონებული ერების განთავისუფლება და მათი სუვერენული უფლებების აღდგენა; თითოეული ერის უფლება — მოეწყოს თავისი სურვილისამებრ; ეკონომიური დახმარება დაზარალებულ ერთათვის და მათი მატერიალური კეთილდღეობის მიღწევის საქმეში მათთვის ხელის შეწყობა; დემოკრატიულ თავისუფლებათა აღდგენა; ჰიტლერული რეჟიმის მოსპობა“. ჩვენ უყოყმანოდ შეგვიძლია დავეთანხმოთ ამ პროგრამას. ეს ჩვენი საკუთარი პროგრამაა“.

ჰარიმანმა დასასრულ განაცხადა: „მიუხედავად უკანასკნელი ბრწყინვალე წარმატებებისა, მოგველის ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა“.

## ცვლილებანი ინგლისის მთავრობის შემადგენლობაში

**ლონდონი**, 22 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ სტაფორდ კრიპსი გავიდა სამხედრო კაბინეტის შემადგენლობიდან და დანიშნულია ავიაციის მრეწველობის მინისტრად. ჰერბერტ მორისონი დანიშნულია სამხედრო კაბინეტის წევრად კრიპსის ნაცვლად და ამავე დროს ინარჩუნებს შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების მინისტრის პოსტს. რეიტერის სააგენტო აცხადებს, რომ კრიპსმა არ ისურვა სამხედრო კაბინეტის შემადგენლობაში დარჩენა, ვინაიდან იგი გადატვირთული იქნება ახალ პოსტზე ტექნიკური მუშაობით.

იდენი დანიშნულია თემთა პალატის ლიდერად და ინარჩუნებს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს. საავიაციო მრეწველობის ყოფილი მინისტრი ლეველინი დანიშნულია ვაშინგტონში მომარაგების საკითხების რწმუნებულად მინისტრის რანგით. ლეველინი წარმომადგენელი იქნება ვაშინგტონში სამხედრო წარმოების მინისტრისა ყოველ საკითხში, რომელიც კი ამ უკანასკნელის კომპეტენციაში შედის.

პოლკოვნიკი ოლივერ სტენლი დანიშნულია კოლონიების მინისტრად ნაცვლად ლორდ კრენბორნისა, რომელსაც უჭირავს ბეჭდის მცველ ლორდის პოსტი, მაგრამ სამხედრო კაბინეტის შემადგენლობაში არ შევა.

## წერილების გაცვლა ჩერჩილსა და კრიპსს შორის

**ლონდონი**, 22 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ჩერჩილმა და კრიპსმა წერილები გაუგზავნეს ერთმანეთს. ჩერჩილი თავის წერილში წინადადებას აძლევს კრიპსს სათავეში ჩაუდგეს ავიაციის მრეწველობის სამინისტროს. „თუმცა, — სწერს ჩერჩილი, — პირველი შეხედვით შეიძლება კაცს ეგონოს, რომ, სტოვებთ რა თქვენს ახლანდელ პოსტს, რათა სათავეში ჩაუდგეთ დიდს უწყებას, თქვენ გადადიხართ პოლიტიკური იერარქიის უფრო დაბალ საფეხურზე. მაგრამ მე ვიცი, რომ ეს მოსაზრება თქვენზე გავლენას არ მოახდენს“.

კრიპსი დათანხმდა დაიკავოს ახალი პოსტი და ჩერჩილისათვის გაგზავნილ წერილში განაცხადა, რომ იგი ამასთან დაკავშირებით გამოდის სამხედრო კაბინეტის შემადგენლობიდან. კრიპსი აცხადებს, რომ იგი მიისწრაფვის განახორციელოს თავისი ახალი ამოცანა თავისი ქვეყნისა და პრემიერის დასაკმაყოფილებლად.

## ეტლის განცხადება

**ლონდონი**, 22 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ეტლიმ როდინგში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც განაცხადა: „ჩვენ არა მარტო მივაღწიეთ უშიშროებას ხმელთაშუა ზღვაში, არამედ, იმედი მაქვს, რომ მალე უფრო წინ წავალთ და გადავაქცევთ მას ტრამპლინად დიდი შეტევისათვის“.

## უკანასკნელი ცნობები

### საომარი მოქმედება ჩრდილოეთ აფრიკაში

**ლონდონი**, 23 ნოემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 21 ნოემბერს ბრიტანეთის ჯარების ერთ-ერთმა მოწინავე ნაწილმა ტუნისში მძიმე ზარალი მიაყენა გერმანელთა ჯავშნსატანკო კოლონას. მტერმა იერიში მიიტანა ფრანგების ერთ ნაწილზე, რომელიც მოკავშირეთა მხარეზე გადავიდა. მაგრამ მტრის გააფთრებულმა იერიშებმა ვერ გასტეხა ფრანგთა წინააღმდეგობა. მათი პატრულები მოქმედებდნენ მტრის მოწინავე პოზიციების ღრმა ზურგში.

**ჟენევა**, 23 ნოემბერი (საკდესი). მაროკოს რადიოს ცნობით, გაბესის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რკინიგზის ხაზს ამჟამად მოკავშირეთა ჯარები უწევენ კონტროლს. ინგლის-ამერიკის ნაწილები გამაგრდნენ აგრეთვე კაირუანსა და სუსში.

**ლონდონი**, 23 ნოემბერი (საკდესი). გაზეთმა „სანდი ტაიმსმა“ გამოაქვეყნა საუბარი საფრანგეთის ადმირალ მიუზელიესთან ბიზერტის მნიშვნელობის შესახებ. მიუზელიეს განცხადებით, ბიზერტას აქვს სანაპირო დაცვის 35 კილომეტრზე მსროლელი ქვემეხები. ღერძის სახელმწიფოებმა ბიზერტაში დამკვიდრება რომ მოახერხონ, მათ ყველა სათავდაცვო ნაგებობათა მომსახურებისათვის 30.000 კაცი დასჭირდებათ. ნავსადგურის დოკებში მსოფლიოს ყველაზე დიდი სახაზო გემების მოთავსება შეიძლება. კლდეში 25 მეტრ სიღრმეზე გაკეთებულია მიწისქვეშა საწყობები, რომლებშიც 20.000 ტონა საჭურველი და საომარი მასალები დაეტევა.

### საომარი მოქმედება ლიბიაში

**ლონდონი**, 23 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით საომარი მოქმედების რაიონში ერთი კვირის განმავლობაში ავდარია. გერმანიის უკან დახევის ზონაში თოვს. კირენაიკაში სავსებით ბატონობს ინგლისის ავიაცია, რომელსაც მტრის არც ერთი თვითმფრინავი არ შეხვედრია ბრძოლების რაიონში. ინგლისის ნაწილები წინ მიიწევენ.

**ლონდონი**, 23 ნოემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან გუშინ დღისით ბრიტანეთის ჯარებმა რამდენადმე წინ წაიწიეს აჯედაბიასთან. მტერი იძულებული გახდა უკან დაეხია. ბომბდამშენი ავიაცია წარმატებით დაესხა თავს სიცილიის სამ აეროდრომს.

### ომი წყნარ ოკეანეში

**ლონდონი**, 23 ნოემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ავსტრალიელთა და ამერიკელთა შერეულმა კოლონამ გაარღვია იაპონელთა პოზიციები და დაიკავა სოპუტი. ახალი გვინეის ჩრდილო-დასავლეთის სანაპიროს ამ უბანზე შეერთებული შტატების ჯარები სამ დიდ ოპერაციას ეწევიან.

**ნიუ-იორკი**, 23 ნოემბერი (საკდესი). ოფიციალური ცნობით, იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ისარგებლეს ავდრით და, ეტყობა თავისი ჯარების მაშველი ძალები გადასხეს ახალ გვინეაზე.

მოკავშირეთა ავიაციამ ბუნის რაიონში ჩასძირა იაპონელთა ერთი ნაღმოსანი და 2 მცირე გემი. ერთ-ერთ საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულია იაპონელთა 19 თვითმფრინავი.

**ლონდონი**, 23 ნოემბერი (საკდესი). ამერიკის მძიმე ბომბდამშენთა დიდი შენაერთები თავს დაესხნენ იაპონელთა სამხედრო ობიექტებს რკინიგზების კვანძ მანდალაის რაიონში (ბირმა). გააფთრებული დაბომბვა განიცადეს სარემონტო სახელოსნოებმა, დამხარისხებელმა სადგურებმა და დიდმა საწყობმა. ბევრგან აღნიშნულია ძლიერი ხანძარი.

ამერიკელთა თვითმფრინავების სხვა შენაერთი თავს დაესხა ჰაიფონს. ნავსადგურის რაიონში ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა.

### ინგლისის საზღვაო სამინისტროს განცხადება

**ლონდონი**, 22 ნოემბერი (საკდესი). ინგლისის საზღვაო სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება იმის შესახებ, რომ, რამდენადაც გერმანიისა და იტალიის მთავრობებმა დაარღვიეს დროებითი ზავი საფრანგეთთან და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს ოკუპაცია მოახდინეს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობები იძულებული არიან განაცხადონ, რომ ხმელთაშუა ზღვაში გაფართოებულია ზონა, რომელიც საშიშია ნაოსნობისათვის. საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ ნაოსნობისათვის საშიშია მთელი ხმელთაშუა ზღვის წყლები, გარდა თურქეთის ტერიტორიული წყლებისა (იმ ხაზის აღმოსავლეთით, რომელიც მიდის საფრანგეთ-ესპანეთის საზღვრიდან იმ კუთხის გასწვრივ, რომელსაც ჰქმნის ესპანეთის ტერიტორიული წყლები, ხაზისა, რომელიც შემდეგ უხვევს 90 გრადუსით კრეუსის კონცხზე 3 მილით დაშორებული პუნქტიდან; აქედან — პუნქტამდე, რომელიც იმყოფება ჩრდილოეთის განედის 39 გრადუსსა და 36 მინუტზე და აღმოსავლეთის გრძედის 3 გრადუსსა და 50 მინუტზე).

### ინგლისის ავიაციის მოქმედება

**ლონდონი**, 23 ნოემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 22 ნოემბერს ღამით ინგლისის ბომბდამშენი ავიაციის დიდი შენაერთები თავს დაესხნენ გერმანიის მნიშვნელოვან სამრეწველო და სარკინიგზო ცენტრს — შტუტგარტს. თავდასხმაში მონაწილეობას იღებდნენ სამმოტორიანი ბომბდამშენები. იმ თვითმფრინავთა ხმაურობა, რომლებიც სანაპიროზე მიფრინავდნენ, ერთი საათის განმავლობაში ისმოდა.

ინგლისის ავიაციის სხვა შენაერთებმა იერიში მიიტანეს საქონლის მატარებლებზე ჩრდილოეთ საფრანგეთში და ცეცხლი წაუკიდეს სატრანსპორტო გემს ლა მანშში. ინგლისის 10 ბომბდამშენი არ დაბრუნებულა თავის ბაზაში.

ბელგიასა და ჩრდილოეთ საფრანგეთზე თავდასხმის დროს 21 ნოემბერს ღამით ინგლისის თვითმფრინავებმა ბომბები დაუყარეს და ტყვიამფრქვევისა და ქვემეხის სროლა აუტეხეს 5 რკინიგზის შემადგენლობას. დაბომბილ იქნა აგრეთვე ორი ქარხანა.

### გერმანიის ავიაციის ოპერაციების შენელება ინგლისზე თავდასხმებში

**ლონდონი**, 22 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, მტრის ავიაცია უკვე ორი კვირის განმავლობაში არ იჩენს აქტივობას ინგლისის კუნძულებზე.

არსებობს ყოველი ნიშანი იმისა, რომ მტერი თავის ბომბდამშენებს ინახავს ევროპაში მოკავშირეთა შესაძლო შეჭრის შემთხვევისათვის და ავიაციას უყრის თავს ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ ნაწილში მოსალოდნელი დაძაბული საჰაერო ბრძოლებისათვის.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

## ვაჟკაცობა და მოხერხება

(„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

მდინარის მარცხენა ნაპირს მტერი მოადგა. მისი თავდაცვა მოშამბულ სერზე იყო გამაგრებული.

სერიდან მდინარის კლდოვან ნაპირამდე სიმინდის ყანა იდგა, ავდრისაგან ჩაშავებული. მხოლოდ ჩალის მოჭრა ვერ მოესწროთ ომის ქარცეცხლში მოხვედრილ სოფელს.

გერმანელთა თავდასხმის ზღუდიდან ხელისგულივით მოსჩანდა ჩვენი მარჯვენა ვაკე ნაპირი, სადაც ქართველი მებრძოლები ფეხის მოკიდებას ცდილობდნენ.

ფაშისტების ნაღმების განუწყვეტელ ცეცხლქვეშ მოიერიშე მებრძოლები შეუპოვრად მიიწევდნენ მდინარისაკენ. რამდენიმე ვაჟკაცური ნახტომი და, — ისინი ხელში ჩაიგდებდნენ შემდეგი შეტევისათვის მნიშვნელოვან ზღუდეს, რომ მოულოდნელად გერმანელთა მძიმე ტყვიამფრქვევმა მათი წინსვლა შეაფერხა.

მაღლობზე ჩასაფრებულმა ტყვიამფრქვევმა მთლიანად გავარცხნა ჩვენი ნაპირი. მებრძოლები იძულებული გახდნენ მაშინვე ჩაწოლილიყვნენ.

ბევრს ეცადნენ ჩვენი მსროლელები, მაგრამ გერმანელთა საცეცხლე ბუდე მაინც ვერ მოსპეს: ტყვიამფრქვევი სწრაფად იცვლიდა საბრძოლო ადგილს და ისე ურტყამდა ჩვენი ქვეითების განლაგებას, რომ არამც თუ გადარბენა, თავის წამოწევაც სახიფათო იყო.

გზახსნილი მხოლოდ იერიშის პირვანდელ ზღუდისაკენ, საიმედო სანგრებისაკენ ჰქონდათ მებრძოლებს, მაგრამ უკანდახევა როდი უყვარდა ვანო კორშიას, ქვეგანაყოფის მეთაურის მოადგილეს პოლიტიკურ ნაწილში.

განა ტყუილად გაითქვა კორშიამ ფაშისტების მელეტელის სახელი! მამაცი მეომრის პირად ანგარიშზე უკვე ითვლებოდა ორი ათეული მოკლული გერმანელი. მრავალი სისხლისმღვრელი ბრძოლის მონაწილეს ვანო კორშიას ზურგი არასდროს უჩვენებია მტრისათვის და ვერც ახლა აჩვენებდა, რადგან მისი ქვეგანაყოფის იერიშს გზა უნდა გაეკვალა ჩვენი ჯარისათვის.

კორშიამ თვალი შეავლო ხეობაში გამომწყვდეულ მდინარეს. ბობოქარი ტალღები ყალყზე დგებოდნენ, თითქოს ბუდიდან ამოვარდნას ლამობდნენ.

მდინარე იმდენად ჩქარი იყო, რომ ზოგან წყალიც აღარ მოსჩანდა... თეთრი ქაფი თუხთუხებდა მხოლოდ სიპი ქვებითა და კორომებით სავსე ხევში.

ენგურისა და ცხენისწყლის ტალღებში გაზრდილ მეგრელს ვერც ასეთი მდინარე შეაშინებდა, — და ვანო კორშიას ერთი ურიდი აზრი დაებადა: გადაეცურა მდინარე და ზურგიდან დასცემოდა ფაშისტების ტყვიამფრქვევს.

ქართველი მეომარი ვანო კორშია როდი იყო ფათერაკის მაძიებელი კაცი! იგი არც ანდეზედ და ალალბედზე სიარულს იყო ჩვეული. ამხანაგები ვანოს იცნობდნენ, როგორც დინჯსა და წინდახედულ მეთაურს, რომელსაც წლევანდელი შემოდგომის სასტიკმა ბრძოლებმა უმტყუნო გეში და ალღო შეუმუშავა.

მაგრამ ახლა მისი განზრახვა ყველას უიმედოდ ეჩვენა: გერმანელთა ტყვიამფრქვევმა ზუსტად გამოთოფა მდინარის მისადგომები. უჩინ-მაჩინის ქუდი უნდა დაეხურა ადამიანს, რომ ბობოქარი მდინარე შეუმჩნევლად გადაეცურა და მტრისათვის ზურგიდან შემოევლო.

ბატალიონის მეთაურს ლეიტენანტ ხაჭაპურაძეს გული არ უშვებდა, რომ მამაცი მეომარი ესოდენ სათუო საქმეს შებმოდა.

კორშიამ თავისი დაიჩემა და მტკიცედ შეუდგა რთული და მძიმე ამოცანის გადაწყვეტას. პირველ-ყოვლისა ორი მებრძოლი შეარჩია, ორივე კარგი მოცურავე და მასავით უშიშარი. ავტომატები გასინჯეს, ტანისამოსი კარგად მოირგეს და გერმანელთა ნაღმსატყორცნების ცეცხლქვეშ დაიწყეს მოძრაობა.

კორშიას გაწაფულმა თვალმა სწრაფად მონახა „მკვდარი არე“, და გადამღობ ცეცხლში ყველანი უვნებლად გაძვრნენ.

მდინარეც ცეცხლქვეშ გადასცურეს. ეფარებოდნენ მთიდან დაგორებულ ლოდებს, კორომებში გაჩხირულ მორებს და მხნედ მიაპობდნენ ღონიერ ტალღებს, თვითონაც ტალღებივით შეუპოვარნი.

ნაპირზე გამოსვლისას მტერმა შენიშნა ისინი.

ნიშანში ამოღებული ქართველები წყლისპირა ქვებს ამოეფარნენ და მაშინვე ორად გაიყვნენ.

ვანო კორშია ხელმარჯვენივ გახოხდა. მებრძოლები მარცხენა ფრთაზე დადგნენ და ყასიდად ისეთი სროლა ასტეხეს, თითქოს მდინარეზე მთელი ოცეული გადმოსულიყოს. მტერმაც ასე იფიქრა და ტყვიამფრქვევის ცეცხლი მათკენ მიმართა, მთელი ყურადღება მარცხენა ფრთაზე გადაიტანა.

მაშინ კორშიამ იდროვა და ლანდივით უხმოდ შეცურდა სიმინდებში.

როყიო ტყვიებს ლიწინ-ლიწინი გაჰქონდა ყანაში. მაგრამ მეთაური შეუფერხებლად მიხოხავდა ჰიტლერელი ყაჩაღების ბუნაგისაკენ.

აგერ ყანაც გათავდა. ახლა მხოლოდ პატარა გაშლილი მინდორი აშორებდა ქართველ ლომკაცს მოშამბული სერის კალთას... მინდორი ყველაზე სახიფათო ადგილი იყო.

კორშიამ ყური მიუგდო სროლას. ტყვიამფრქვევის კაკანში მკაფიოდ ისმოდა მარცხენა ფრთაზე მოქმედ მებრძოლთა თოფების გრიალი. ყველაფერი რიგზე იყო, და გამხნევებულმა ვანომ წინსვლა განაგრძო.

იგი მარჯვედ ეხამებოდა ყველაფერს, რაც ოდნავ აშორებდა მიწას. ყოველი ქვა, ბუჩქი, უბრალო ჩალა-ბულა საიმედო საფარი იყო მოხერხებული კაცის ხელში.

არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, არც ერთი წამის შეყოვნება; მისი დაძაბული კუნთები გაზომილად, შეწყობილად მოქმედებდნენ, როგორც კარგად გამართული მანქანა. ასე გალია სახიფათო მინდორი და ავტომატი მოიმარჯვა.

გერმანელმა მეტყვიამფრქვევეებმა მხოლოდ მაშინ შენიშნეს ზურგიდან შემოპარული ქართველი, როცა მათი მემიზნე უსულოდ მიაწყდა ტყვიამფრქვევს. ფაშისტები წამოიშალნენ, უწესრიგო სროლა ასტეხეს და თავდასაცავად მოემზადნენ, მაგრამ კორშიამ სასტიკად დარია ხელი თავისი ქვეყნის დაუპატიჟებელ სტუმრებს.

რამდენიმე ზუსტი გასროლა, და გერმანელთა ტყვიამფრქვევის მთელი ჯგუფი წუთისოფელს გამოესალმა.

სერზე განლაგებულმა გერმანელებმა სცადეს მეტყვიამფრქვევეთა დახმარება, მაგრამ კორშიამ ნადავლი ტყვიამფრქვევი სწრაფად შეაბრუნა და სროლა ასტეხა. თავზარდაცემული ფაშისტები უკუიქცნენ.

ამავე ტყვიამფრქვევის საფარქვეშ წყალგაღმა ჩაწოლილმა ქართველებმა დასძახეს „ვაშა“ და მდინარისკენ გამოიჭრნენ.

მათი შეწყვეტილი იერიში ისევ განახლდა.

ვანო კორშია და მისი ორი მებრძოლი კარგი საჩუქრებით დაბრუნდნენ ქვეგანაყოფში. გერმანელთა მძიმე ტყვიამფრქვევი, ხელის ტყვიამფრქვევი და ორი მაუზერი მათი ვაჟკაცობისა და მოხერხების უტყუარი მოწმეები იყვნენ.

მოქმედი არმია.



ეროვნული ბიბლიოთეკა



მოქმედი არმია (ვორონეჟის რაიონი). მამაცურად და უნარიანად ებრძვის გერმანელ ოკუპანტებს ლეგენდარული მხედართმთავრის შვილი მაიორი ა. ვ. ჩაპაევი. იმ ქვეგანაყოფის ქვემეხები, რომელსაც იგი მეთაურობს, გამანადგურებლად ურტყამენ გერმანელებს.

სურათზე: ორდენოსანი მაიორი ა. ვ. ჩაპაევი (მარჯვნით) ლეიტენანტ კომკავშირელ ვ. ი. ბალაშოვის საარტილერიო ბატარიის საცეცხლე პოზიციაზე. ამ ბატარიამ უკანასკნელ ბრძოლებში მოსპო მტრის 4 დაზგის ტყვიამფრქვევი, 2 საარტილერიო ბატარია და 4 ნაღმსატყორცნი ბატარია, გაჰფანტა 20 ავტომანქანა და 8 საზიდარი.

ფოტო ი. პავოლოცკისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

## მოკავშირეთა ჯარები ბიზერტის მისადგომებზე

**ლონდონი,** 22 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც ჩრდილოეთ აფრიკაში მოკავშირეთა შტაბთან იმყოფება, იუწყება, რომ 21 ნოემბერს საღამოს მოკავშირეთა ჯარებმა იერიში მიიტანეს გერმანელთა გამაგრებულ პოზიციებზე, რომლებიც ტუნისისა და ბიზერტის მისადგომებს იცავენ. ინგლის-ამერიკის მთავარი ძალები უკვე ჩაებნენ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში.

გერმანელთა ნაწილები ჯავშანმანქანებითა და ტანკებით ქალაქ ტუნისისა და ბიზერტის დასავლეთით მიემართებიან.

იუწყებიან აგრეთვე, რომ ფრანგთა ჯარების პოლკმა ჩაშალა ღერძის სახელმწიფოთა ჯარების ცდა — გადმოსხდარიყვნენ სანაპიროზე გაბესის ახლოს (200 მილზე ტუნისის სამხრეთით).

ფრანგთა ჯარის ნაწილმა, რომელიც ინგლისელებთან და ამერიკელებთან ერთად იბრძვის გერმანელთა წინააღმდეგ, იერიში მიიტანა მტრის პოზიციების წინააღმდეგ ტუნისიდან 10 მილზე. ინგლისელმა, ფრანგმა და ამერიკელმა ჯარისკაცებმა ხელთ იგდეს მნიშვნელოვანი ზღუდე.

## ინგლისელთა შეტევა ლიბიაში

**ლონდონი,** 22 ნოემბერი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის შეიარაღებულ ძალთა სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ 21 ნოემბერს ინგლისის ჯარების მოწინავე ნაწილები შეხვდნენ მოწინააღმდეგეს ჯედაბიის მახლობლად. ბარკაში წამოყვანილია ტყვეები. ბენგაზში გათავისუფლებულ იქნენ ინგლისის არმიის ჯარისკაცები, რომლებიც თავის დროზე ტყვედ წაიყვანეს გერმანელებმა.

21 ნოემბერს ინგლისის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს ტრიპოლიზე და დაბომბეს მტრის გემები და ნავსადგურის ნაგებობანი.

20 ნოემბერს ღამით საშუალო ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს ბიზერტის აეროდრომზე.

რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ამჟამად მთელი კირენაიკა ინგლისელთა ხელშია. როგორც ეტყობა, სერიოზული ბრძოლები გაჩაღდება ელ-აგეილასთან, სადაც, როგორც ფიქრობენ, გერმანელებს იმედი აქვთ ფეხი მოიკიდონ.

ლიბიის ფრონტიდან მიღებული ცნობებით, მოკავშირეთა მსუბუქი ჯავშანსატანკო ნაწილები მოწინააღმდეგის ჯავშნიანი მანქანების პირისპირ იმყოფებიან, მაგრამ სერიოზული ბრძოლები არა ყოფილა. მტრის ჯარების დევნა გრძელდება.

## ომი წყნარ ოკეანეში

**ნიუ-იორკი,** 22 ნოემბერი (საკდესი). წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის შტაბის 21 ნოემბრის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ახალი გვინეის ჩრდილო-აღმოსავლეთ სექტორში გაფთრებული ბრძოლები სწარმოებს ბუნისა და გონის რაიონში. აქტიურად მოქმედებს მოკავშირეთა ავიაცია.

ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ 18 ნოემბერს ამერიკის სახმელეთო და საზღვაო ქვეითმა ჯარმა გვადალკანარზე წინ წაიწია კრუსის კონცხის დასავლეთით. 19 ნოემბერს ამერიკელთა პატრულებმა გვადალკანარზე ბრძოლებით წაიწიეს წინ. 21 ნოემბერს მოკავშირეთა ავიაციამ 11-ჯერ მიიტანა იერიში იაპონელთა პოზიციების წინააღმდეგ გვადალკანარზე.

## ნოქსი სოლომონის კუნძულებთან მომხდარ ბრძოლაში იაპონელთა ზარალის შესახებ

**ნიუ-იორკი,** 22 ნოემბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო მინისტრმა ნოქსმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ იაპონელებმა გვადალკანარის ზონაში დამატებით დაჰკარგეს 5 სამხედრო ხომალდი, და რომ გასულ კვირაში ჩაძირულია იაპონელთა 28 გემი და დაზიანებულია 10.

## ტურინზე ინგლისის ავიაციის თავდასხმის დაწვრილებითი ცნობები

**ლონდონი,** 22 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 20 ნოემბერს ღამით ტურინზე თავდასხმის დროს ინგლისის ბომბდამშენებმა ერთ საათზე ნაკლები ხნის განმავლობაში 100-მდე ტონა ფუგასური და 50-მდე ტონა ცეცხლგამჩენი ბომბი ჩამოჰყარეს. საშუალოდ ყოველ წუთში ჰყრიდნენ 1.800-კილოგრამიან ფუგასურ ბომბს და ყოველ წამში—13,5-კილოგრამიან ცეცხლგამჩენ ბომბს.

## ინგლისის ავიაციის მოქმედება

**ლონდონი,** 22 ნოემბერი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს ცნობით, ინგლისის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს რკინიგზებსა და სხვა ობიექტებზე ჩრდილოეთ საფრანგეთსა და ბელგიაში. ინგლისის ყველა თვითმფრინავი თავის ბაზებში დაბრუნდა.

## რუზველტის თათბირი დე გოლის წარმომადგენლებთან

**ნიუ-იორკი,** 22 ნოემბერი (საკდესი). ასოშიეტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ რუზველტი და სახელმწიფო მდივნის მოადგილე უელესი შეხვდნენ მებრძოლი საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტის შინაგან საქმეთა და შრომის კომისარს ანდრე ფილიპს და დე გოლის წარმომადგენელს ა. შ. შტატებში ადმირალ ტიქსიეს.

## პორტუგალიისა და ესპანეთის პასუხი ინგლისის მთავრობის განცხადებაზე

**ლონდონი,** 22 ნოემბერი (საკდესი). როგორც ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, ინგლისის მთავრობამ აცნობა პორტუგალიისა და ესპანეთის მთავრობებს, თუ რა პოზიციას ადგას იგი ჩრდილოეთ აფრიკაში წარმოებულ ოპერაციებთან დაკავშირებით. ახლა მიღებულია ორივე მთავრობის პასუხი. პორტუგალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ინგლისის პრემიერ-მინისტრს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აცხადებს, რომ პორტუგალიის მთავრობამ დიდი კმაყოფილებით მიიღო ცნობად ინგლისის მიერ პორტუგალიისათვის მიცემული დაპირებანი.

ესპანეთის მთავრობის პასუხი გადაეცა ინგლისის ელჩს მადრიდში. იქ ნათქვამია, რომ დაპირება, რასაც ინგლისის მთავრობის განცხადება შეიცავს, მიღებულია ცნობად, აღნიშნულია აგრეთვე, რომ ინგლისის მთავრობის საჯარო დეკლარაცია მიღებულია მადლობით.

## საფრანგეთის ეკვატორული აფრიკის გენერალ-გუბერნატორისა და გენერალ კატრუს დეპეშები დე გოლისადმი

**ლონდონი,** 22 ნოემბერი (საკდესი). საფრანგეთის ეკვატორული აფრიკის გენერალ-გუბერნატორმა ებუემ დე გოლს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც საფრანგეთის ეკვატორული აფრიკის მთელი მოსახლეობის სახელით ადასტურებს ნაციონალური კომიტეტისა და პირადად დე გოლისადმი ერთგულებას.

მებრძოლი საფრანგეთის ჯარების სარდალმა სირიაში გენერალმა კატრუმ გაუგზავნა დე გოლს დეპეშა, რომლითაც ერთგულებას უცხადებს მას ლევანტის ფრანგებისა და თავის სარდლობაში მყოფი ჯარების სახელით.

„იმ მძიმე და იმედით აღსავსე ჟამს, რასაც ჩვენი ქვეყანა განიცდის, — სწერს კატრუ, — ყველაზე უფრო, ვიდრე ოდესმე, საჭიროა, რომ ჩვენ მჭიდროდ დავირაზმოთ იმ დროშის გარშემო, რომელიც თქვენ არ დახარეთ მტრის წინაშე. არავითარი გარიგება არ შეიძლება".

## ინტერნაციონალური ბრიგადის ყოფილ მებრძოლთა განთავისუფლება

**ლონდონი,** 22 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გაათავისუფლეს ინტერნაციონალური ბრიგადის 900-მდე მებრძოლი, რომლებიც ესპანეთში ფაშისტთა ინტერვენციის დროს იბრძოდნენ. ერთი წლის წინათ ისინი ვიშიდან გადაყვანილ იქნენ ჩრდილოეთ ალჟირში, ჯელფის საკონცენტრაციო ბანაკში.

## საბჭოთა სამხედრო ტყვეები ფინეთში შიმშილით იღუპებიან

**ლონდონი,** 22 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ციურიხიდან გადმოგვცემს, სანდო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, რამდენიმე ათასი რუსი სამხედრო ტყვე ფინეთში შიმშილით დაიხოცა. სამხედრო ტყვეები საშინელ პირობებში ჰყავთ. ზამთარში მდგომარეობა კიდევ უარესი იქნება.

## ბელგიაში საოკუპაციო ჯარების რიცხვი შემცირდა

**ლონდონი,** 22 ნოემბერი (საკდესი). თავისუფალი ბელგიის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ბელგიაში ჩავიდა რამდენიმე მატარებელი, რომლებითაც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე დაჭრილი გერმანელი ჯარისკაცები ჩაიყვანეს. დაჭრილთა უმეტესობა 18—19 წლის ჭაბუკები არიან.

მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ აფრიკის კამპანია დაიწყო, საოკუპაციო ჯარების რიცხვი ბელგიაში შემცირდა. ამჟამად ეს ჯარები უმთავრესად წარსული ომის მონაწილეთაგან შესდგება. სანაპირო რაიონებში გაძლიერებულია სიფრთხილის ზომები.





„პარტიზანები“ მარჯანიშვილის თეატრში. სურათზე: პარტიზან სტეპან პასენკოს სიკვდილის სცენა (III მოქმედება).

# „პარტიზანები“

## მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

გ. მდივნის პიესას ბევრი კარგი სცენიური თვისება აღმოაჩნდა. მთელ რიგ სცენებს გონებამახვილობა ახალისებს, განსაკუთრებით პირველ ორ აქტში სიტუაციები დამაჯერებლად, ლოგიკური თანმიმდევრობით და მძაფრი დრამატიზმით არის აწყობილი. პიესის ნაკლი ის არის, რომ ოთხი მოქმედების მანძილზე სიტუაციების თანმიმდევრობას ნაკლებად ემთხვევა შინაგანი დრამატიული განვითარება, რაც მეორე აქტის ფინალთან ერთად სრულდება. მესამე მოქმედებიდან უკვე ახალი თემა იქრება და იქვე პოულობს დასასრულს, ხოლო მეოთხე მოქმედების დანარჩენ ორ სურათში კვლავ ახალი თემა იბადება და ვითარდება და პიესის ფინალი ისე იკითხება, თითქოს ახალი პიესის დასაწყისთან ვიყოთ. პიესის ამ ნაკლის გამო მთელი რიგი სახეები მოკლებულნი არიან მხატვრულ სრულყოფას. მიუხედავად ამ ნაკლისა, პიესაში ცოცხლად, მართლად და ამაღელვებლად არის ასახული სამამულო ომში მონაწილე პარტიზანების თავდადება და სიმამაცე და ეს არის სწორედ ამ პიესის ღირსება.

სპექტაკლის ტონი ერთი სურათის გამოკლებით მშვიდია, კეთილშობილი და არტისტული გზნებით გამოირჩევა. მთელი რიგი სცენები აქტიორებს ნახევარტონებში მიჰყავთ, დიალოგი ოსტატურად არის გამართული და მეტად გრძელი მონოლოგებიც კი დარბაზის ყურადღებას იპყრობს. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ რეჟისორ ვასო ყუშიტაშვილს ნაყოფიერად უმუშავნია. ამასთანავე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბატალურ სცენებში სპექტაკლის ტონისათვის შეუფერებელი ქრიამული და ზედმეტი ფუსფუსია. სპექტაკლის საფინალო სცენას აკლია უკანასკნელი წერტილის დასმა. ეს დასანანებელი და ადვილად გამოსასწორებელი ნაკლი რაც მალე იქნება თავიდან აცილებული, მით უკეთესია.

ს. ზაქარიაძემ შესანიშნავი გარეგნული სურათოვნობით, ვაჟკაცური წარმოსადეგობით, დრამატიზმის ცოცხალი განცდით, შურისძიების კეთილშობილი გრძნობის გადმოსაცემად მშვიდი, მაგრამ ძლიერი ტონის მიგნებით განასახიერა ალიმ მამედოვის როლი და, რაც მთავარია, ამ სახეს თავისი არტისტული ინტუიციით ბევრი ლამაზი დეტალი შემატა. ერთადერთი ნაკლი ის არის, რომ თავიდან ბოლომდე მისი სახის მეტყველებას სევდიანი ტონი სდევს.

ვ. გოძიაშვილი პოეტური გზნებით ანხორციელებს მეზღვაური პარტიზანის, მიტიას სახეს. სიზმრის მოყოლასა და სცენაში დაჭრილის სასთუმალთან იჩენს დიდ ტემპერამენტს, განსახიერების არტისტულ პათოსს. დასანანებელია, რომ მსახიობს ზოგიერთ სცენაში როლთან შეუსაბამო შტრიხები შეაქვს თავის შესრულებაში.

პ. კობახიძემ უკრაინელ სტეპან პასენკოს როლში გვიჩვენა ზომიერებით და მშვიდად განსახიერების ძალა და ტექსტს მოუპოვა უშუალობა, დამაჯერებლობა. განსაკუთრებით კარგად ჩაატარა დიალოგი უკვდავებაზე. მსახიობის წარმატება ბევრად გაიზრდებოდა, რომ ზედმეტად არ უქცევდეს ენას და ზედმეტად არ შორდებოდეს მეტყველების ბუნებრივ კილოს.

შალვა ღამბაშიძემ თავისუფლად, დიდი უშუალობით და სიმართლით, მშვიდად და სცენიური ყურადღების სრული მოხვეჭით განასახიერა მეზღვაურთა რაზმის მეთაურის მაქსიმ მაქსიმიჩის როლი. მან კოლორიტული და მომხიბლველი იუმორით აღსავსე სახე შექმნა და მაყურებელთა ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა.

ვ. ანჯაფარიძე მისთვის ჩვეული ოსტატობით ხორცს ასხამს და ძერწავს ყირიმელი თათრის ქალის ლეილას დრამატიზმით აღსავსე სახეს. მსახიობი ცდილობს თავის როლს იმაზე მეტი ათქმევინოს, რაც ტექსტით აქვს დაკისრებული, და საოცარი სისწრაფითა და ნაირცვლილებით გვიხატავს თავის მღელვარე გრძნობებს. ამ გატაცებულ არტისტულ ქმედობაში იგი ზოგჯერ ზომიერების გრძნობას სცოდავს; მაგალითად, ზედმეტია ქმრის შეხვედრისას გულამოსკვნით შეძახილის რამდენჯერმე გამეორება.

ამავე როლში პრემიერის მეორე დღეს ვნახეთ მ. ქორელი, რომელმაც გულმოდგინე და დაკვირვებული თამაშით მხარი გაუმართა ალიმ მამედოვის როლის შემსრულებელს. ერთი შენიშვნა მხოლოდ: საფინალო სცენაში მ. ქორელი ზედმეტად გრძელ პაუზებს აკეთებდა, რაც რამდენადმე ანელებდა გამოხატული განცდის სიმძაფრეს და თანაგრძნობის აღძვრის ძალას.

სრული ძალითა და სისავსით არ არის დაწერილი ზოიას როლი, და ე. სიბილამ ვერ შესძლო ამ დანაკლისის რითიმე შევსება, ხოლო ის, რაც ტექსტით ჰქონდა განკუთვნილი, მოხდენილად და შნოიანად შეასრულა.

თ. ჩარკვიანმა მოსაწონი ლაკონიურობით მეტყველი შტრიხით დაგვიხატა ფადიმეს კეთილშობილება, მამულიშვილური გრძნობის აღმგზნები ძალა და ჭირში გამტანი ხასიათის შეუდრეკელობა.

ქს. დოლიძე (ასმათ) პრემიერის მეორე დღეს მეტის სიმშვიდით და დამაჯერებლობით ანსახიერებდა სიყვარულით დამუშავებულ თავის პატარა როლს. მას განსაკუთრებული ყურადღებით მუშაობა მართებს ტირილის მეტად ძნელ ეპიზოდზე.

მ. ჯაფარიძემ 15 წლის მიშკა ლავრენიოვის როლის შესრულებით კვლავ ცხადჰყო თავისი კარგი არტისტული მონაცემები.

ხალისიანად და ცოცხლად განსახიერების ძალა გამოიჩინეს ქ. დაუშვილმა (კოსტია კუზნეცოვი) და ა. ზეგალიშვილმა (ა. შევჩუკი). გარკვეულ ხასიათს მოკლებულ როლებში ანსამბლს მხარში უდგნენ და მთელი არსებით თამაშობდნენ შ. ჯაფარიძე (სუხოუსოვი) და მ. მგელაძე (ბაბუა სერგო). კარგი ხმა, მკაფიო მეტყველება და სცენაზე მოხდენილად თავის დაჭერის უნარი შესწევს დამწყებ მსახიობს ი. ირინაშვილს (თენგიზი). ი. ქოქრაშვილმა ასლან მამედოვის როლის შესრულებით დაგვიმტკიცა, რომ იგი აქტიორულად იზრდება. ლ. შატბერაშვილის პისკუნოვმა რომ პირისახე უფრო სათნოდ და პატიოსნად მოსაჩვენებელი გაიხადოს, უფრო დამაჯერებელი იქნება.

სპექტაკლში აგრეთვე გამოირჩევიან ი. გედევანიშვილი (შავწვერა), ა. თვარაძე (პირველი მოხუცი), ვ. სულაქველიძე (არტისტი), ა. ვერულეიშვილი (მაიორი) და გ. კობიაშვილი (ლურიგი).

სპექტაკლის დეკორატიული გაფორმება (მხატვარი ლ. ჭუბაბრია) სუსტია. კომპოზიტორმა არჩ. კერესელიძემ ვაჟკაცური პატრიოტული სიმღერებით სპექტაკლი დაამშვენა.

დ. ჯანელიძე

## 75 წელი „კაპიტალის“ გამოცემიდან

25 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ კორპუსში (აუდიტორია № 104) ეკონომიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო აწყობს საჯარო სხდომას კარლ მარქსის „კაპიტალის“ გამოცემის 75 წლისთავის აღსანიშნავად. სხდომაზე მოსმენილი იქნება შემდეგი მოხსენებები: პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი — „კაპიტალის“ შექმნა და გავრცელება“; პროფ. ს. ბერაძე — „კაპიტალის“ ისტორიული მნიშვნელობა“; დოც. ი. ბაჯაძე — „კაპიტალი“ და სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის ზოგიერთი საკითხები“ და სხვ.

დასწრება მისაწვევი ბარათებით.

## დიდი საღამო თბილისის ცირკში

24 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, თბილისის სახელმწიფო ცირკში შესდგება დიდი საღამო, რომლის მთელი შემოსავალი გადაეცემა ფაშისტ ბარბაროსებისაგან დაზარალებული ბავშვების დამხმარე ფონდს. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ვ. გოძიაშვილი, ე. კობელი, ზ. სვანიძე, ზ. და პ. ლავროვები, ს. ვოინიცკი, ა. ტარასოვა, ნ. კაზანცევი, პ. და ე. ზოლოტარიოვები, ლ. და ბ. ლევანდოვსკები, ტ. ზელენსკაია, ძმები კომაროვები.

## თეატრებში

25 ნოემბერს: სახოპერა — „სამსონ და დალილა“. რუსთაველის სახელობის — „დავა“. მარჯანიშვილის სახელობის — „ინჟინერი სერგეევი“. გრიბოედოვის სახელობის — „რუსი ადამიანები“. სომხური თეატრი — „კინტო“. აბუნდოვის სახელობის — „მაშდი იბად“. მუსიკალური კომედიის — „არშინ-მალ-ალან“.

## ლექციები და მოხსენებები

24 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ამხ. დეკანოზოვის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „მტრის ტანკებთან ბრძოლის საშუალებები და ხერხები“. შესვლა თავისუფალია.

25 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ კლუბში (ლენინის ქ. № 28) შესდგება ამხ. ფრიშენბერგის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „დიდი სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და საერთაშორისო მდგომარეობა“.

ბილეთების მიღება შეიძლება ორჯონიკიძის რაიონის აგიტპუნქტში.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 5 დეკემბერს, დღის 1 საათზე (მთავარი შენობა მარის ქ. № 1, აუდ. № 86), აკაკი დიმიტრის-ძე კენჭოშვილი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე:

„ალ. ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობა“.

ოფიციალური ოპონენტები: პროფ. ა. გ. ბარამიძე,
ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი დოც. გ. კიკნაძე.
დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი
დ. უიფშიძე

დაკარგულია ჭიათურის სამედიცინო სკოლის მრგვალი ბეჭედი. ჩ. გ. № 306

კიროვის სახელობის საქ. ინდუსტრიული ინსტიტუტის ანალიზური ქიმიის კათედრის წევრები იუწყებიან ასისტენტ ევგენია სალუქვაძის დის
მარიამ კონსტანტინეს-ასულ სალუქვაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/XI, 7 ს. გამოსვენება 26/XI, 6 ს. ბელინსკის ქ. № 2. 1517

საქ. კონსერვხილტრესტის სპეცმაღაზიის დირექცია და თანამშრომლები იუწყებიან ელენე რატიშვილის მეუღლის
ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე რატიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 24/XI, 6 ს. გამოსვენება 25/XI, 4 ს. დავითაშვილის ქ. № 16, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1616

არტელ „სარეწაო კომბინატის“ თანამშრომლები იუწყებიან გამგეობის თავმჯდომარის მიშა ლეკიშვილის სიძის
კოლია ბოჭორიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. გამოსვენება 27/XI, 4 ს. ჩუღურეთის შესახ. № 16. 1615

№ ჰოსპიტლის თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომელ ტოშია ავალიშვილის ბიძის
შაქრო ავალიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ხაშურში 24/XI. 1518

თბილისის მეაბრეშუმეობის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის გიორგი პაპალაშვილის მამის
იოსების
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქვემო-მაჩხაანში.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი. ლენინის ქ. № 28.
უე 11056